პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 141 (9917) | ოთხშაბათი, 16 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა პროფესიული კავშირების ორმოცი მილიონი წევრის სახელით მხურვალე, გულითად სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

უდიდესი სიხარულის გრძნობით და პროფკავშირების წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის შეგნებით შეხვდნენ ყრილობის დელეგატები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას, რომელშიც განსაზღვრულია პროფკავშირთა საქმიანობის, სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების საბრძოლო პროგრამა.

პროფესიულ კავშირებს, რომლებიც თავის რიგებში აერთიანებენ საბჭოთა კავშირის გმირ მუშათა კლასსა და სახალხო ინტელიგენციას, კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთ ბრძენ ხელმძღვანელად, შთამაგონებლად და ორგანიზატორად დიადი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, მშრომელთა ბედნიერებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XI ყრილობამ განაზოგადა მასებში პროფკავშირთა ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილება, კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე გამოავლინა მათი მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. ყრილობამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გავადიდოთ პროფკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა მათ წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელებაში.

პროფკავშირული ორგანიზაციები კიდევ უფრო ენერგიულად გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას იმისათვის, რომ თვითეულმა საწარმომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს საწარმოო გეგმა, გაავრცელებენ წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას, სათავეში ჩაუდგებიან სახალხო მოძრაობას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობაში. პროფესიული კავშირები გააძლიერებენ ზრუნვას მუშათა და მოსამსახურეთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, მეტ დახმარებას გაუწევენ პარტიას მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში.

ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის პროფკავშირები იბრძოლებენ ყველა მათი ორგანიზაციის მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის, განავითარებენ პროფკავშირულ დემოკრატიას, განამტკიცებენ კავშირს მასებთან, გადაჭრით აღმოფხვრიან ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატულ მეთოდებს.

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XI ყრილობა პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ პროფკავშირები გაამართლებენ თავიანთ მაღალ და პასუხსაგებ როლს — კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში მასების მებრძოლ ორგანიზატორთა როლს.

ხელმძღვანელობენ რა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის კეთილშობილური იდეებით, საბჭოთა პროფკავშირები უცხო ქვეყნების მშრომელებთან ხელიხელჩაკიდებულნი კვლავაც დაიცავენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიად საქმეს, იბრძოლებენ მუშათა საერთაშორისო ერთიანობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა პროფკავშირები ყოველთვის ერთგულად და აქტიურად ახორციელებდნენ და კვლავაც ერთგულად და აქტიურად განახორციელებენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა საზოგადოების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

## დაიხურა სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა

15 ივნისს შედგა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XI ყრილობის საბოლოო სხდომა. ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების გამო, აგრეთვე დაამტკიცა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდება.

შემდეგ ყრილობამ აირჩია პროფკავშირთა ხელმძღვანელი ორგანოები. პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო არჩეულია 174 წევრისა და 55 კანდიდატის შემადგენლობით, სარევიზიო კომისია — 17 კაცის შემადგენლობით.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ შემოტანილია წინადადება მისალმება გაეგზავნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. დელეგატები ამ წინადადებას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. მისალმების ტექსტს კითხულობს ამხ. ა. ი. შევჩენკო.

დელეგატები ერთხმად იწონებენ მისალმების ტექსტს. დარბაზში იმართება ოვაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად, მძლავრი სოციალისტური სამშობლოს პატივსაცემად.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ნ. მ. შვერნიკი**, ხურავს რა სხდომას, ამბობს, რომ პროფკავშირთა XI ყრილობა მობრუნების ეტაპია საბჭოთა პროფმოძრაობის ისტორიაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება პროფკავშირთა მუშაობის საბრძოლო პროგრამაა უახლოესი პერიოდისათვის. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირები კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებენ მუშებსა და მთელ საბჭოთა ინტელიგენციას, დარაზმავენ მათ ახალი შრომითი გმირობისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად.

(საკდესი).

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ვ. გ. ქერქაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ვლადიმერ გიორგის-ძე ქერქაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე**.

ქ. თბილისი. 1954 წლის 15 ივნისი.

18 ივნისს საღამოს 8 საათზე მოწვეულია **თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-4 მოწვევის საქალაქო საბჭოს X სესია.**

სესია გაიხსნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე, საღამოს 7 საათიდან.

**თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი.**

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობისა საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენების გამო

მოისმინა და განიხილა რა საანგარიშო მოხსენება საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ, სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა ადგენს: მოწონებულ იქნას პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

X ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში სსრ კავშირის პროფესიულმა კავშირებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულეს, რათა დაერაზმათ მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასები სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, იმ ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად, რომლებიც ჩვენს ქვეყანას დაუსახეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. ამასთანავე XI ყრილობა აღნიშნავს, რომ პროფკავშირთა მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი, პროფკავშირთა ორგანიზაციულ-მასობრივი, საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და აღმზრდელობითი მუშაობის დონე ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც პროფკავშირებს უყენებენ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

პროფკავშირების როგორც კომუნიზმის სკოლის, როგორც მასების მებრძოლი ორგანიზატორების როლი ახლანდელ პირობებში სულ უფრო ძლიერდება. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხალხის მთელ ძალებს წარმართავენ იმ დიდი ამოცანის გადასაწყვეტად, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში სოციალისტური ინდუსტრიის მძლავრი ზრდის ბაზაზე მივაღწიოთ სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრ აღმავლობას, უზრუნველვყოთ მშრომელთა ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესება, დავაკმაყოფილოთ მათი მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. საბჭოთა პროფკავშირებმა, როგორც სსრ კავშირის მშრომელთა ყველაზე მასობრივმა ორგანიზაციამ, მთელი ძალღონე, მთელი ენერგია უნდა მოახმარონ ამ დიადი ისტორიული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას. პროფკავშირებმა განუწყვეტლივ უნდა აუმჯობესონ მუშაობა, გადაჭრით აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მუშაობაში და კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართო მასები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მისაღწევად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება პროფკავშირთა XI ყრილობისადმი თანამედროვე პირობებში საბჭოთა პროფკავშირების მთელი საქმიანობის საბრძოლო პროგრამაა.

### I

ყრილობა პროფესიულ კავშირებს ავალებს მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივა და ენერგია წარმართონ იმისათვის საბრძოლველად, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ სახალხო მეურნეობის რეზერვები, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და გააუმჯობესონ მისი ხარისხი თვითეულ საწარმოში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, თვითეულ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში და თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში — კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ნაყოფიერების სისტემატური გადიდების საქმეს, ახსოვდეთ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა ადიდებს საწარმოთა მუშაობის ყველა ეკონომიურ მაჩვენებელს, იგი ჩვენი ქვეყნის ტექნიკური პროგრესისა და მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლების საფუძველია.

პროფკავშირები მოვალენი არიან მტკიცედ იბრძოლონ შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, საწარმოო პროცესთა შემდგომი მექანიზაციისათვის, მანქანებისა და მოწყობილობის სწორი და ეფექტიანი გამოყენებისათვის. საჭიროა უფრო ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება, ყოველი ღონისძიებით დავუჭიროთ მხარი წარმოების ნოვატორებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, გავაძლიეროთ ყურადღება მუშათა საწარმოო სწავლებისადმი, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისადმი.

პროფესიულ კავშირთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გააჩაღონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, ჩააბან შეჯიბრებაში ყველა მუშა, ქმედითად დაუჭირონ მხარი შეჯიბრების მონაწილეთა ძვირფას ინიციატივას. პროფკავშირებმა უნდა ამრავლონ მოწინავეთა რიგები, დაეხმარონ ჩამორჩენილთ — მიაღწიონ მოწინავეთა დონეს და ამ საფუძველზე იბრძოლონ განუხრელი საერთო აღმავლობისათვის, გადაჭრით აღმოფხვრან ფორმალიზმი და ბიუროკრატული დამახინჯებანი ისეთ ცოცხალ და შემოქმედებითს საქმეში, როგორიც სოციალისტური შეჯიბრებაა.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა, რომელიც დასახეს პარტიამ და მთავრობამ, პროფკავშირთა ლვიძლი საქმეა. ყრილობა ავალებს საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს ფართოდ გააჩაღონ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შეჯიბრება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მაღალნაყოფიერი გამოყენებისათვის. სამრეწველო საწარმოთა პროფკავშირული ორგანიზაციები უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ მუშაობაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის საშეფო დახმარების გასაწევად, შეუნელებელ საზოგადოებრივ კონტროლს უწევდნენ იმას, თუ როგორ ასრულებს მრეწველობა სოფლის მეურნეობის დაკვეთებს.

წარმოების მართვასა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ფართო მასების მიზიდვის დიდმნიშვნელოვანი ფორმაა საწარმოო თათბირები. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ საწარმოო თათბირების როლი სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის და თვითეული საწარმოს მუშაობაში საუკეთესო ეკონომიური შედეგების მიღწევისათვის ბრძოლაში.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საკავშირო პროფსაბჭო და პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ შრომის დანორმვისა და ანაზღაურების ორგანიზაციის საკითხებზე, და ავალებს მათ სათანადო წესრიგი დაამყარონ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი მონაწილეობა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის დაგეგმვასა და რეგულირებაში, მიაღწიონ იმას, რომ საწარმოებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაინერგოს ხელფასის ისეთი სისტემა, რომელიც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, განახორციელონ ღონისძიებანი წარმოებაში ტექნიკური დანორმვის დასანერგავად და გასაუმჯობესებლად, გააძლიერონ კონტროლი შრომის აღრიცხვისადმი და შრომის ანაზღაურების სანარდო და პროგრესიულ-პრემიალური სისტემის გამოყენებისადმი.

სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, შრომის პირობების შემდგომი გაჯანსაღების ღონისძიებათა განხორციელებისათვის, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში დიდი მაორგანიზებელი ძალაა კოლექტიური ხელშეკრულებანი. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა აამაღლონ კოლექტიურ ხელშეკრულებათა მნიშვნელობა, გააძლიერონ სამეურნეო და პროფკავშირულ ხელმძღვანელთა ურთიერთ პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებათა დროზე და უთუოდ განხორციელებისათვის, უფრო ფართოდ ჩააბან პროფკავშირული აქტივი კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებისადმი კონტროლში.

### II

საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის ყოველდღიური ზრუნვა პროფკავშირთა წმიდათაწმიდა მოვალეობაა. პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან მტკიცე, ენერგიული ბრძოლა აწარმოონ მშრომელთა საჭიროებებისადმი გულგრილი და უყურადღებო დამოკიდებულების გამოვლინებათა წინააღმდეგ, მიაღწიონ მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მიაღწიონ სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებში, პროფკავშირულ ორგანიზაციებში აპარატის მუშაობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებასა და გაუმჯობესებას, გადაჭრით აღმოფხვრან ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება ამ აპარატის ყველა რგოლში. ყრილობა აღნიშნავს, რომ ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია ცუდად ასრულებს ამ უმნიშვნელოვანეს მოვალეობას, სუსტად იყენებს თავის უფლებას — კონტროლი გაუწიოს იმას, თუ როგორ ასრულებენ სამეურნეო ორგანოები საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სახელმწიფო გეგმებს, როგორ მუშაობენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები.

ყრილობა ავალებს პროფკავშირულ ორგანიზაციებს თავის დროზე მიიღონ ღონისძიებანი, რომ უთუოდ შესრულდეს ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა, სავაჭრო და კომუნალურ საწარმოთა მშენებლობის გეგმები, აქტიური საზოგადოებრივი კონტროლი დააწესონ საცხოვრებელი ფართობის მშენებლობის მსვლელობისა და განაწილებისადმი, კონკრეტული დახმარება გაუწიონ მშენებლობებს შრომის ორგანიზაციასა და სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში, გადაჭრით გააუმჯობესონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

საკავშირო პროფსაბჭომ, პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა და საბჭოებმა სამეურნეო ხელმძღვანელებს უნდა მოსთხოვონ მტკიცედ დაიცვან შრომის კანონმდებლობა, ზუსტად შეასრულონ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესები და ნორმები.

დაევალოს საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს და პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააუმჯობესონ მუშაობა სოციალური დაზღვევის დარგში, მიაღწიონ მშრომელთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, გააქტივონ სოციალური დაზღვევის საბჭოების მუშაობა, უფრო ფართოდ ჩააბან მუშები და მოსამსახურეები სოციალური დაზღვევის სახსრების სწორად გამოყენებისა, საავადმყოფოებს, პოლიკლინიკების, საბავშვო დაწესებულებების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობისადმი კონტროლში. ყრილობა ავალებს საკავშირო პროფსაბჭოს მიიღოს ღონისძიებანი ჯანმრთელობის კერების ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის, განსაკუთრებით ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის რაიონებში.

პროფკავშირები მოვალენი არიან ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მუშებსა და მოსამსახურეებს ბავშვების აღზრდაში, განამტკიცონ კავშირი სკოლასა და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა ბავშვთა შორის კლუბებში, ბიბლიოთეკებში, სტადიონებზე, გააფართოონ პიონერთა ბანაკების ქსელი და გააუმჯობესონ მათი მუშაობა.

ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა პროფკავშირების წევრთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში ის არის, რომ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მუშა ქალებს შრომის შემდგომ შემსუბუქებაში. ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა შრომის დაცვას, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, სასადილოების, საზოგადო სამრეცხაოების, სამკერვალო და შემკეთებელი სახელოსნოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა დაწესებულების ქსელის გაფართოებასა და მათი მუშაობისადმი კონტროლს, რაც ხელს შეუწყობს მუშა ქალთა უფრო ფართოდ ჩაბმას აქტიურ საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

### III

ყრილობას მიაჩნია, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პირობებში კიდევ უფრო ძლიერდება პროფესიულ კავშირთა როლი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში. პროფკავშირების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველდღიურად განუმარტონ მუშა-მოსამსახურეებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, აღზარდონ მასები სახელმწიფო და შრომის დისციპლინის მტკიცედ დაცვის, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი ფრთხილად მოპყრობის სულისკვეთებით, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა თანასწორუფლებიანობის, ძმობისა და მეგობრობის საბჭოთა იდეოლოგიის სულისკვეთებით. პროფკავშირებმა აქტიური ბრძოლა უნდა აწარმოონ ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, ცრუმორწმუნეობას წინააღმდეგ, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის ნაშთების წინააღმდეგ.

პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტაში, რომ ყველა მუშა და ყველა გლეხი გავხადოთ კულტურული და განათლებული, მუდამ უნდა ზრუნავდნენ პროფკავშირების წევრთა პოლიტიკური და ზოგადი განათლების დონის ამაღლებისათვის, მიიზიდონ მუშა-მოსამსახურეები ტექნიკურ და ზოგადი განათლების სკოლებსა და წრეებში, საღამოს და დაუსწრებელ ტექნიკუმებსა და ინსტიტუტებში, ფართოდ გაავრცელონ მეცნიერებისა და მოწინავე საწარმოო პრაქტიკის მიღწევები. პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველდღიურად იზრუნონ სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლების, მექანიზატორთა კადრების სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მუშაობისათვის, დახმარება გაუწიონ ახალგაზრდობასა და მოზარდებს სპეციალური ტექნიკური განათლების მიღებაში.

პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნარიანად უნდა შეახამონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა დასვენებას მოწყობასთან, გაითვალისწინონ თავიანთ საქმიანობაში მშრომელთა ცალკეული ჯგუფების — კადრის მუშების, ახალგაზრდობის, ქალების მოთხოვნილებანი, უკეთ გამოიყენონ კინო, უფრო ფართოდ განავითარონ მხატვრული თვითმოქმედება და აამაღლონ მისი დონე. დაევალოთ პროფკავშირულ ორგანოებს გააუმჯობესონ ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა ხელმძღვანელობა, უფრო ფართოდ გააჩაღონ მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა, მიაღწიონ ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის ამაღლებას.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია გაძლიერდეს პროფკავშირული პრესის მაორგანიზებელი და აღმზრდელობითი როლი, განმტკიცდეს მისი კავშირი პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, უფრო ფართოდ გაშუქდეს და განზოგადდეს პრესის ფურცლებზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილება, უფრო მწვავედ [illegible] გააკრიტიკონ ნაკლოვანებანი პროფკავშირული ორგანიზაციათა მუშაობაში.

ყრილობა ავალებს პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა სოფლის მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებში. საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავუჭიროთ მხარი და განვავითაროთ ქალაქების საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივების ინიციატივა, რომ საშეფო დახმარება გაუწიონ მტს-ებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს კულტურულ-მასობრივი მუშაობის მოწყობაში.

### IV

იმისათვის, რომ წარმატებით გადაწყდეს ამოცანები, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს პროფკავშირებს, საჭიროა მტკიცედ ამაღლდეს პროფკავშირთა მთელი საქმიანობის დონე თავიდან ბოლომდე.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კომიტეტებისა და საბჭოების მუშაობის პრაქტიკაში ფართოდ გავრცელდა მანკიერი ბიუროკრატული სტილი. იმის ნაცვლად, რომ მთელი ძალღონე მოახმარონ ცოცხალ, ორგანიზატორულ მუშაობას მასებში, პროფკავშირული კომიტეტების ბევრი მუშაკი დიდ დროს ანდომებს სასხდომო ფუსფუსს, არასაჭირო ცნობების შეგროვებას, ცნობების, ანგარიშების, მოხსენებითი ბარათების შედგენას. საჭიროა მთელი სიმტკიცით და გაბედულებით აღმოვფხვრათ ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდები, გავაფართოოთ და განვამტკიცოთ პროფკავშირული ორგანიზაციების კავშირი მასებთან, ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მშრომელთა აქტივობა, ინიციატივა და თვითმოქმედება.

ყრილობა ყველა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან მოითხოვს მკაცრად დაიცვან პროფკავშირული დემოკრატიისა და ხელმძღვანელობაში კოლექტიურობის პრინციპები, რეგულარულად მოაწყონ პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები, აამაღლონ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებების მნიშვნელობა, სისტემატურად გააუმჯობესონ მუშაობა აქტივთან. საჭიროა უფრო ფართოდ გავაჩაღოთ თვითკრიტიკა და განსაკუთრებით კრიტიკა ქვემოდან, მკაფიოდ გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ ყველა პროფკავშირული ორგანოს მუშაობის ნაკლოვანებანი.

ყრილობა საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო კომიტეტებსა და საბჭოებს ავალებს გააუმჯობესონ პროფკავშირული კადრების შერჩევა და აღზრდა. ხელმძღვანელ პროფკავშირულ სამუშაოზე უნდა დავაწინაუროთ კარგი ორგანიზატორები, საქმის მცოდნე ადამიანები, რომელნიც გულისხმიერებას იჩენენ მასების საჭიროებებისადმი და რომელთაც უნარი შესწევთ საქმით განახორციელონ პარტიის პოლიტიკა.

### V

სსრ კავშირის პროფკავშირებმა საანგარიშო პერიოდში გააძლიერეს თავიანთი საქმიანობა, რომელიც მიმართულია მსოფლიო მუშათა და პროფესიული მოძრაობის საბრძოლო ერთიანობის განმტკიცებისაკენ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ. გაფართოვდა და განმტკიცდა სსრ კავშირის პროფკავშირთა მეგობრული ურთიერთობა უცხო ქვეყნების პროფკავშირებთან. საბჭოთა პროფკავშირებმა გააქტიურეს თავიანთი როლი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციასა და მის საერთაშორისო გაერთიანებებში.

ყრილობა ავალებს საკავშირო პროფსაბჭოს და პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს კვლავაც მიიღონ აქტიური მონაწილეობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მუშაობაში, განამტკიცონ ძმური მეგობრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პროფკავშირებთან, განავითარონ სსრ კავშირის პროფკავშირთა და მუშათა ურთიერთობა კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების პროფკავშირულ ორგანიზაციებთან.

საბჭოთა პროფკავშირებს, რომელნიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი დროშის ერთგულნი არიან, თავიანთ წმიდა მოვალეობად მიაჩნიათ, რომ დაუცხრომლად განამტკიცონ ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ერთიანობა და დარაზმულობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მთელი კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

* * *

აუმჯობესებენ და სრულყოფენ რა თავიანთ მუშაობას, საბჭოთა პროფკავშირები კიდევ უფრო აამაღლებენ თავიანთ როლს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ მილიონობით მუშა-მოსამსახურეს დიადი კომუნისტური პარტიის გარშემო.

XI ყრილობა პირობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ სსრ კავშირის პროფესიული კავშირები კვლავაც იქნებიან კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწენი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

### პარტიული ცხოვრება

# ახლებურად მუშაობის პირველი შედეგები

### პარტიის სასოფლო რაიკომის ინსტრუქტორის შენიშვნები

სამ თვეზე მეტია, რაც პარტიის თელავის რაიკომის ინსტრუქტორად ვმუშაობ თელავის მტს-ის ზონის კურდღელაურის, შალაურის, კისისხევისა და კონდოლის კოლმეურნეობებში. ყველა ეს კოლმეურნეობა გამსხვილებული და მრავალდარგოვანია. მუშაობა იმით დავიწყე, რომ დაწვრილებით გავეცანი თვითეულ კოლმეურნეობას, ბრიგადას, რგოლს. შევისწავლე ცალკეული დარგების მდგომარეობა. პირველ ხანებში მთელ რიგ ისეთ საკითხებს წავაწყდი, რომლებიც სათანადო ცოდნას, სპეციალურ შესწავლას მოითხოვდა. ამ მიზნით შევიძინე საჭირო სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა. ღამით, როცა კოლმეურნეობიდან შინ ვბრუნდები, ვკითხულობ და ვაკეთებ სათანადო ჩანაწერებს. ეს დიდად მეხმარება მუშაობაში.

კოლმეურნეობებში, სადაც მე ვმუშაობ, მევენახეობა წამყვანი დარგია. კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ვენახები 160 ჰექტარს აღემატება. შარშან გეგმის გადამეტებით თვითეულ ჰექტარზე 30 ცენტნერი ყურძენი მიიღეს. მევენახეობის ზოგიერთი ბრიგადა მიღწეულით გამედიდურდა და წელს უხვი მოსავლისათვის ბრძოლა დაივიწყა. მერვე ბრიგადის ბრიგადირი ვ. გრიშიკაშვილი შეუწყნარებლად აჭიანურებდა ვენახის ზამთრის სამუშაოებს. პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელა ბრიგადაში შექმნილ მდგომარეობაზე და კოლმეურნეები დარაზმა ვენახების დამუშავების დაჩქარებისათვის საბრძოლველად. პარტიული ორგანიზაციის რჩევით კოლმეურნეობის გამგეობამ გრიშიკაშვილი შეცვალა და მის ნაცვლად ბრიგადირობა უნარიან, საქმისმოყვარულ კოლმეურნეს, კომუნისტ ნ. ზესაშვილს დაავალა. აგიტატორებმა საწარმოო ბრიგადებში კოლმეურნეებს გააცნეს პარტიული ორგანიზაციისა და გამგეობის გადაწყვეტილება. ვენახების დამუშავების გაუმჯობესებისათვის ბრიგადირებს მიეცათ საქმიანი რჩევა-დარიგება, ბრიგადებსა და რგოლებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება ხდება ყოველ ათ დღეში, შედეგებს ყველა მევენახეს აცნობენ. ამ ღონისძიებებმა უზრუნველყო ვენახების დამუშავების ტემპის გაძლიერება.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის პერიოდში დიდი შრომა დაგვჭირდა. შალაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობას კვადრატულ-ბუდობრივად 65 ჰექტარი სიმინდი უნდა დაეთესა. ამ დავალების შესრულება კოლმეურნეთა და მექანიზატორთა ერთ ნაწილს განუხორციელებლად მიაჩნდა. მწკრივად დავთესოთ, უფრო ადვილია, — ამბობდნენ ისინი. კოლმეურნეობაში მომუშავე სპეციალისტების, განსაკუთრებით აგრონომ ს. ლობჟანიძის დახმარებით კოლმეურნეებს და ტრაქტორისტებს დაწვრილებით განვუმარტე და დავარწმუნე ისინი კვადრატულ-ბუდობრივად თესვის უპირატესობაში. სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა დ. გიგოლაშვილმა ტრაქტორისტებს შეასწავლა კვადრატულ-ბუდობრივი თესვის წესი და მუშაობა დაიწყო. სათეს მანქანას არ მოშორებია. ბრიგადამ კვადრატულ-ბუდობრივად 68 ჰექტარი დათესა. ტრაქტორისტი ვ. ფეიქრიშვილი დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებდა. ამ წესით დაითესა სათესლე ჭარხალიც. ნათესები საუკეთესოდ აღმოცენდა. ახლა ალაზნის ველზე მწვანე კვადრატებია! უკვე მიმდინარეობს ორმხრივი კულტივაცია. კოლმეურნეებს შრომა შეუმსუბუქდათ და დიდად კმაყოფილი არიან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ კოლმეურნეობებში ბევრი რამ გაკეთდა მეცხოველეობის განვითარებისათვის, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში განახორციელეს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, დადგეს ავტომატური სარწყულებლები. მაინც ფერმის მუშაობაში დიდი ნაკლოვანებანი იგრძნობოდა. ფერმის ზოგიერთი მუშაკი უდარდელობას იჩენდა, პირუტყვს მოვლას აკლებდა. საჭირო იყო ფერმის გაძლიერება მოწინავე, სანდო და ბეჯითი ადამიანებით. ეს საკითხი დავაყენე კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის წინაშე. ფერმაში სამუშაოდ გაიგზავნენ მოწინავე კოლმეურნეები კომუნისტი გ. ბენიძე, ნ. ხუციშვილი, გ. კობიაშვილი და ა. მამუკიშვილი. მათი დაუღალავი შრომით ფერმაში მდგომარეობა სწრაფად გაუმჯობესდა.

წინა წლებში მეცხოველეობის ფერმებში ქალები არ მუშაობდნენ. წელს ეს საკითხიც მოვაგვარეთ. კოლმეურნე ქალებმა ჩვენი რჩევით ფერმაში მუშაობა დაიწყეს. ისინი საუკეთესოდ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. ყუყუნა ბენიძემ ოთხ თვეში 272 შრომადღე გამოიმუშავა, მარიამ მახნიაშვილმა — 271, ელენე რინკიაშვილმა 245 შრომადღე და ა. შ.

პარტიული ორგანიზაციის გავლენის გასაძლიერებლად ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ყველა ფერმასა და ბრიგადაში შექმნილია პარტიული ჯგუფები. ისინი ნაყოფიერად მუშაობენ და სათავეში უდგანან კოლმეურნეთა საწარმოო აქტივობას. მათს საქმიანობას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ, ვეხმარები ნაკლოვანებათა გამოვლინებასა და გამოსწორებაში.

ჩემი, როგორც რაიკომის ინსტრუქტორის, უპირველესი მოვალეობაა პოლიტიკური მუშაობის გაშლა მასებში, მათი შეგნებულობისა და აქტივობის ამაღლება. ამიტომ მუდამ ყურადღების ცენტრში ვაყენებ საგიტაციო-მასობრივ მუშაობას კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს შორის. სისტემატურად ვესწრები აგიტკოლექტივების მეცადინეობას კონდოლის, კისისხევისა და შალაურის კოლმეურნეობებში. აგიტატორების ყურადღებას ვამახვილებ უფრო საჭირო და სწრაფად მოსაგვარებელ საკითხებზე. შალაურის კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები იყო. 40-ზე მეტი კოლმეურნე სრულებით არ მონაწილეობდა საკოლმეურნეო შრომაში. ეს საკითხი დაწვრილებით შევისწავლე და აგიტატორებს ვესაუბრე, მივეცი რჩევა-დარიგება, თუ როგორ ემოქმედნათ, რომ უზრუნველეყოთ საკოლმეურნეო შრომაში ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნის აქტიური მონაწილეობა. აგიტატორებმა გოგიტაშვილმა, გაგნიძემ, სეხნიაშვილმა, მჭედლიშვილმა და სხვებმა ბრიგადებში შრომის დისციპლინაზე საუბრები გამართეს. პირადად ესაუბრნენ იმ კოლმეურნეებს, რომლებიც შრომას თავს არიდებდნენ. ამავე დროს კედლის გაზეთებშიც გამოაქვეყნეს მასალები, მოწინავე კოლმეურნეები შეაქეს, ზარმაცები გააკრიტიკეს. ამან კარგი შედეგი გამოიღო. ახლა თითქმის ყველა კოლმეურნე სისტემატურად გამოდის ბრიგადებში სამუშაოდ. გ. არუთინოვი, ქ. ოქრუაშვილი, ეთერ ვართანაშვილი და სხვები რომლებიც შარშან სრულებით არ შრომობდნენ, ახლა მოწინავეთა რიგებში არიან.

ყოველივე ამასთან ერთად ჩემს მუშაობაში ნაკლიც ბევრია. არ შეიძლება იმის თქმა, რომ რაიკომი ინსტრუქტორებს არ ეხმარებოდეს, მაგრამ საჭიროა ეს დახმარება კიდევ უფრო კონკრეტული და ქმედითი იყოს. დიდ დახმარებას მიწევს ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნში" გამოქვეყნებული წერილები პარტიის სასოფლო რაიკომის ინსტრუქტორთა მუშაობის შესახებ. ამ წერილებს სისტემატურად ვკითხულობ და მუშაობაში ვიყენებ.

**თ. მეტრეველი,**
საქართველოს კომუნისტური პარტიის თელავის რაიკომის ინსტრუქტორი თელავის მტს-ის ზონაში.

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„კომუნისტის" 11 მაისის სარედაქციო წერილში „მთელი ყურადღება სიმინდის თესვას" გაკრიტიკებული იყო პარტიის ზოგიერთი საოლქო და რაიონული კომიტეტი მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისათვის. კერძოდ წერილში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთის ასსრ და ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მახარაძის, ხობის, ცხაკაიას რაიონები შეუწყნარებლად ჩამორჩნენ სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვაში.

პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ, რომელმაც განიხილა „კომუნისტის" 11 მაისის სარედაქციო წერილი, სწორად ცნო გაზეთის კრიტიკა. ბიურომ განიხილა რაიონის კოლმეურნეობებში ერთწლიანი კულტურების თესვის მიმდინარეობის საკითხი და განახორციელა საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა და ერთწლიანი კულტურების თესვა 25 მაისისათვის დამთავრდა.

როგორც რაიკომის მდივანი ამხ. დ. მაწკავა რედაქციას სწერს, სიმინდის თესვისადმი არასერიოზული დამოკიდებულებისათვის ქვემო ჩიბათის, მაჩხვარეთის და ლანჩხუთის კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს ამხ. ჯორბენაძეს, ზენაიშვილს და ჩხაიძეს რაიკომის ბიურომ პარტიული სასჯელი დაადო. პარტიული სასჯელი დაედო აგრეთვე ლანჩხუთის მტს-ის მთავარ მექანიკოსს ამხ. ა. კალანდარიშვილს, რომელმაც ერთწლიანი კულტურების თესვის პერიოდში ვერ უზრუნველყო სათესი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეუფერხებელი მუშაობა.

პარტიის ცხაკაიას რაიკომის მდივანი ამხ. ა. ძაძამია რედაქციას ატყობინებს, რომ სიმინდის თესვაში ჩამორჩენისათვის რაიონული კომიტეტი სამართლიანად იყო გაკრიტიკებული. რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად დაჩქარდა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. 1 ივნისისათვის კვადრატულ-ბუდობრივი წესით სიმინდი დათესილი იყო 1.433 ჰექტარი. მიღებულია ზომები ნათესების დროულად და მაღალხარისხოვნად მოვლა-დამუშავებისათვის.

* * *

განიხილა რა „კომუნისტის" სარედაქციო წერილი „მთელი ყურადღება სიმინდის თესვას", პარტიის მახარაძის რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში სიმინდის თესვის ტემპის გასაძლიერებლად. რაიონის კოლმეურნეობებმა სიმინდის თესვის საერთო გეგმა შეასრულეს 15 მაისისათვის, კვადრატულ-ბუდობრივად თესვისა კი — 21 მაისისათვის.

ამასთან ერთად პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე რედაქციას სწერს, რომ „რაიონში სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვის მიმდინარეობის შესახებ ცნობები არასწორად იქნა გადაცემული საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მახარაძის მტს-ის მუშაკის ამხ. ბ. ცხომელიძის მიერ, რის გამო გაზეთში არაზუსტად იქნა გაშუქებული მახარაძის რაიონში სიმინდის თესვის მიმდინარეობა. არასწორი ცნობების გადაცემისათვის ამხ. ცხომელიძეს სათანადო სასჯელი დაედო".

# რით მიდის საქართველო გამოფენაზე

მიმდინარე წლის 1 აგვისტოს საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში გაიხსნება სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ენერგიულად ემზადებიან, რათა საკოლმეურნეო წარმოების მიღწევები ფართოდ უჩვენონ გამოფენაზე. გამოფენა გამოცდილების დიადი სკოლაა.

საქართველოს პავილიონში უკვე გაგზავნილია რესპუბლიკაში არსებული ძვირფასი ჯიშის ციტრუსოვანი, სუბტროპიკული, ტექნიკური და დეკორაციული მცენარეების ექსპონატები, თავთავიანი და მარცვლეული კულტურების



სურათზე: საქართველოს სსრ პავილიონის მთავარი მხატვარი ლ. მამალაძე რჩევას აძლევს მხატვარ ლ. შირსკაიას, რომელიც მუშაობს ვარიანის საბჭოთა მეურნეობის სტენდის მხატვრულ გაფორმებაზე.

* * *

ქნები და მარცვალი, ჰერბარიუმები, პაპიროსი, სიგარეტი, ჩაი, ლიმონის ნაყოფი, აბრეშუმის პარკი, ბეწვეული, სახვითი ხელოვნების ნამუშევრები, მოდელები, მაკეტები.

ამ დღეებში გაიგზავნება 5.000 ლიტრამდე სხვადასხვა მარკის ღვინო, 2.000 ლიტრამდე კონიაკი, ლიქიორი, არაყი და სხვა სასმელები, 3.000 ქილამდე მურაბა, ჯემი, კომპოტი და კონსერვები, თხილი, კაკალი, 6 ტონამდე სხვადასხვა ჩირი, უნაბი. გასაგზავნად გამზადებულია აგრეთვე 300 ათასი მანეთის მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი — ქსოვილები და ფეხსაცმელი, მზადდება 10.000 ცალამდე ჩურჩხელა, ჯანჯუხი, ტკბილის კვერი და სხვა ნატურალური ექსპონატები.

პავილიონის ირგვლივ და ორანჟერიაში გაშენებულია ციტრუსები და დეკორაციული მცენარეები, ღია გრუნტში კი ბაღი, ვენახი და ჩაის პლანტაცია.

გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს პავილიონის შიდა გაფორმებისათვის. ფორმდება პავილიონის დარბაზები, რომელთა სტენდებზეც ნაჩვენები იქნება ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის წარმატებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კომიტეტში წარადგინა გამოფენის მონაწილეობის 1.616 კანდიდატი; მათ შორის: 72 კოლმეურნეობა, 25 საბჭოთა მეურნეობა, 82 სამეცნიერო-საკვლევი და სხვადასხვა დაწესებულება და 4 რაიონი. აქედან წარდგენილი არიან ფართო ჩვენებაზე — 77 ორგანიზაცია და 297 მოწინავე ადამიანი, ხოლო მასობრივ ჩვენებაზე — 112 ორგანიზაცია და 1.174 მოწინავე ადამიანი.

გამოფენის მონაწილეობის კანდიდატებად წარდგენილი არიან რესპუბლიკის ის რაიონები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მოწინავენი, რომლებმაც დაუღალავი შრომით, საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევების გამოყენებით დიდად გაზარდეს სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქცია. გამოფენაზე წარდგენილი არიან:

მახარაძის რაიონი, რომელმაც 8.050 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 3.605 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და სახელმწიფოს ჩააბარა 21.929 ტონა ფოთოლი. 1953 წელს რაიონის კოლმეურნეობების მთელი ფულადი შემოსავლიდან 88,9 პროცენტი ჩაის კულტურით არის მიღებული. 30 კოლმეურნეობა მილიონერია. გასულ წელს საშუალოდ ერთ შრომადღეზე მარტო ფულად რაიონში 22 მანეთი განაწილდა. გარდა ამისა, ჯილდო-დანამატის სახით კოლმეურნეებმა 3.752.534 მანეთი მიიღეს. რაიონს გამოფენაში მონაწილეობის უფლება აქვს აბრეშუმის დარგშიც. 4.396 კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლიდან საშუალოდ ერთ კოლოფზე 47,7 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღეს და სახელმწიფოს 2.069,2 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს; ქობულეთის რაიონი, რომელმაც 2.028 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 4.129 კილოგრამი ჩაი მოკრიფა და სახელმწიფოს 14.311 ტონა ნედლეული ჩააბარა. 26 კოლმეურნეობიდან 24 კოლმეურნეობა მილიონერია. აქ შარშან შრომადღეზე საშუალოდ 24 მანეთი გაანაწილეს; თელავის რაიონი, რომელმაც 1.083 კოლოფი აბრეშუმის ჭიის თესლიდან საშუალოდ ერთ კოლოფზე 55,6 კილოგრამი პარკი მიიღო და სახელმწიფოს 602,7 ტონა პარკი ჩააბარა, 1.228 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 62,4 ცენტნერი ყურძენი მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 52 ცენტნერისა. 1953 წელს სახელმწიფოს ჩააბარა მარტო მარცვლეული 45.670 ცენტნერი; ბათუმის რაიონი, რომელმაც 747 ძროხიდან საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.464 კილოგრამი რძე მოწველა. 1953 წელს მეცხოველეობის შემოსავალი საერთო შემოსავლის 9 პროცენტს შეადგენს. რაიონში ყოველ 100 ჰექტარ სახნავ-სათეს ფართობზე მიიღეს 427 ცენტნერი რძე, 5,83 ცენტნერი მატყლი და 6.652 ცალი კვერცხი. სავალდებულო ჩაბარების გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარა 97.084 ლიტრი რძე, 5.519 კილოგრამი მატყლი, 28.126 კილოგრამი ხორცი, 4.090 ცალი კვერცხი. რაიონში საშუალოდ ერთ შრომადღეზე განაწილებულია ფულად 14 მანეთი და 32 კაპიკი.

გამოფენაზე წარდგენილია სტალინირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ 10,5 ჰექტარი თესლოვანი ხეხილის ბაღიდან საშუალოდ ერთ ჰექტარზე 183 ცენტნერი ხილი მიიღეს.

ყულარის საბჭოთა მეურნეობამ 133 ჰექტარი ვენახის ფართობიდან 1953 წელს საშუალოდ ჰექტარზე 134 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

გაგრის რაიონის მერძეობის საბჭოთა მეურნეობაში 1952 წელს 54 ძროხიდან საშუალოდ ერთ ძროხაზე 4.370 ლიტრი რძე მოწველეს. გასულ წელს ამავე რაოდენობის ძროხებიდან საშუალოდ ერთ ძროხაზე 5.310 ლიტრი რძე მიიღეს.

ახალციხის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური თეიმურაზ კაპანაძე კარტოფილის უხვი მოსავლის ოსტატია. მან 5,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 349,4 ცენტნერი კარტოფილი მიიღო.

გუდაუთის რაიონის ბომბორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა კაპიტონ ნარუაშვილმა 15 ჰექტარი ვენახის ურწყავი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე 153,3 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშამ პავლე მუჯირმა მისთვის მოსავლელად მიჩენილი 3.776 ძირი მანდარინის ხიდან საშუალოდ ერთ ხეზე 969 ცალი ნაყოფი მოკრიფა. ბათუმის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი გული ვარშანიძე 8 ძროხას უვლის. მან საშუალოდ ერთ ძროხაზე 4.070 ლიტრი რძე მოწველა, 695 შრომადღე გამოიმუშავა. შრომადღეებზე ფულად 8.340 მანეთი და პრემია-დანამატის სახით 1.017 კილოგრამი რძე მიიღო.

მეთამბაქოობის დარგში წარდგენილნი არიან: ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის" წევრი ანეტა ტუხიაშვილი, რომელმაც 0,35 ჰექტარი თამბაქოს ნარგავიდან საშუალოდ ჰექტარზე 45,5 ცენტნერი ტრაპიზონის ჯიშის თამბაქო მოიყვანა. გაგრის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების" ბრიგადირმა შოთა ხბშილავამ 1952-1953 წლებში 12 ჰექტარი თამბაქოს ნარგავიდან საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერი სამსუნის ჯიშის თამბაქო მიიღო. ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშა ფაცია დოლიძე ჩაის უხვი მოსავლის ოსტატია. მან ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან 16.830 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა.

1954 წლის გამოფენის კანდიდატები არიან აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის ოსტატები. მაგალითად, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობის იმ რგოლმა, რომელსაც ვართო კვიცაშვილი ხელმძღვანელობს, 5,5 კოლოფი აბრეშუმის თესლიდან საშუალოდ ერთ კოლოფზე მიიღო 128,2 კილოგრამი მაღალი ხარისხის პარკი. წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის იმ რგოლმა, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნინო ბარაბაძე ხელმძღვანელობს, 3,1 კოლოფი თესლიდან მიღებული ჭია გამოკვება და თვითეულ კოლოფზე 107 კილოგრამი მაღალი ხარისხის პარკი მიიღო.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 3 აპრილის დადგენილებით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის კანდიდატების შესარჩევად და წარსადგენად მუშაობის ვადად დაწესებული იყო მიმდინარე წლის 15 მაისი. ზოგიერთ რაიონში ეს წესი დაარღვიეს. მოუმზადებლები ხვდებიან გამოფენას და დღემდე არ წარმოუდგენიათ მასალები გამოფენის არც ერთ კანდიდატზე — აბაშის, ამბროლაურის, ვანის, გეგეჭკორის, ონის, ორჯონიკიძის, ხობის, ქარელის, ყვარლის, კაჭრეთის, მაიაკოვსკის, სიღნაღის, ცაგერის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, თერჯოლის, ჩხოროწყუს, ახალქალაქის, ბოლნისის, წალკის, ლენინგორის, ზნაურის რაიონებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ მთელმა რიგმა რაიონებმა დროულად ვერ გააცნეს კოლმეურნეობებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და მათ მუშაკებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთავარი კომიტეტის დადგენილება 1952-1953 წლების მუშაობის შედეგების მიხედვით 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა და 1954 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით 1955 წლის გამოფენის მონაწილეთა შერჩევის მაჩვენებლებისა და პირობების შესახებ, აგრეთვე მიმდინარე წლის 7 აპრილის № 18 და № 19 დადგენილებები გამოფენის მონაწილეთა დამატებითი პირობებისა და მაჩვენებლების შესახებ. ამ დადგენილებათა მიხედვით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც ჰექტარზე მიიღეს: ტუნგოს ნაყოფი — 3,5 ტონა, გერანის მწვანე მასა — 200 ცენტნერი, ზეთისხილი — 25 ცენტნერი, თხილი — 20 ცენტნერი, ნუში — 18 ცენტნერი, დაფნა — 2,5 ტონა, კვალსათბურების პამიდორი — 13 კილოგრამი და კიტრი — 14 კილოგრამი ერთი ჩარჩოდან.

გამოფენაში მონაწილეობის უფლება ენიჭებათ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და კომბაინების ინჟინერ-მექანიკოსებს, თუ მათ კომბაინების აგრეგატების კარგი მომსახურებით მიაღწიეს კომბაინებით მოსავლის აღების გეგმის გადაჭარბებით შესრულებას და აღება უზრუნველყვეს უდანაკარგოდ, დაწესებულ ვადებში.

ათისთავებს, ბრიგადირებსა და კოლმეურნეებს, რომლებმაც საირიგაციო და სამელიორაციო მშენებლობაზე, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საწარმოო და საყოფაცხოვრებო შენობების მშენებლობაზე წლიური გამომუშავების ნორმები შეასრულეს 150 პროცენტით და სამუშაოს ხარისხიც კარგი იყო.

ინჟინერ-ტექნიკოს მშენებლებს, რომლებმაც უზრუნველყვეს საწარმოო და საყოფაცხოვრებო შენობების დროულად და მაღალხარისხოვნად აშენება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში. [illegible] ანგარიშეებს ანგარიშსწორებისა და ანგარიშგების სანიმუშოდ დაყენებისათვის, საფინანსო გეგმის და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა წესიერი შესრულების, სადებიტორო და საკრედიტორო დავალიანების ხაზით ანგარიშის დროზე გასწორების უზრუნველყოფისათვის.

გამოფენის მთავარი კომიტეტის აღნიშნული დადგენილებებით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გა-



სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) საქართველოს სსრ პავილიონის მეთოდისტები დ. რუსიშვილი და ლ. კარაბელევა სტენდის გაფორმებაზე მუშაობის დროს.

* * *

მოფენაში მონაწილეობის უფლება ენიჭებათ აგრეთვე იმ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს, სასათბურო მეურნეობებს, სანერგეებს, საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საწარმოო ნაკვეთებს, კომუნალური მეურნეობის ორგანოებს, კურორტებს და სხვა ორგანიზაციებსა და მათს მოწინავეებს, რომლებსაც აქვთ მიღწევები და შეასრულეს გეგმიანი დავალება მეყვავილეობაში და გამწვანების დარგში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრიგადირებს, რომლებისთვისაც მემცენარეობის ცალკეული კულტურების დარგში მაჩვენებლები დადგენილი არ არის, გამოფენაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ, თუ საშუალოდ ორი წლის (1952-1953 წლების) მოსავლიანობის მაჩვენებლებს მიიღებენ მთელ მიმაგრებულ ფართობზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დაწესებულ მაჩვენებლებზე 15 პროცენტით მეტს.

საჭიროა აქედანვე შევარჩიოთ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, ბრიგადები, რგოლები და მოწინავე მუშაკები, აღმოვუჩინოთ მათ ყოველგვარი დახმარება, რათა 1954 წლის მუშაობის შედეგებით მოიპოვონ 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

ფართოდ დავნერგოთ კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება და მათი მუშაობის მეთოდები, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე მოვაწყოთ მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ უხვი მოსავლის მიღებას. შეუპოვრად ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ღირსეულად შევხვდეთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას, სრულად ვუჩვენოთ გამოფენაზე ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიღწევები.

**შ. ალაპიშვილი,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ჯგუფის უფროსი.





სურათებზე: (მარცხნივ) საქართველოს სსრ პავილიონში გაშენებულ ჩაის პლანტაციაში პავილიონის დირექტორი გ. ჭკადუაძე და აგროტექნიკოსი ჟ. კორნეევა ამოწმებენ ბუჩქების ზრდა-განვითარებას. მარჯვნივ — პავილიონის მხატვრები დარბაზის მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობის დროს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივნისი ჩაის ფოთლის დამზადების გადამწყვეტი თვეა

# რა იწვევს ჩამორჩენას

უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ამ გადამწყვეტ ეტაპზე თვითეული დღეც ძვირფასია იმ დავალებათა განაღდებისათვის, რომლებიც მეჩაიე კოლმეურნეობებს ეკისრებათ. ბევრგან ამას ითვალისწინებენ, და შედეგიც კარგია. ასეა, მაგალითად, სოფელ ფოცხოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ თვითეული ბუჩქი სანიმუშოდ მოვლილია, მას მზრუნველი ხელი ატყვია. ფოცხოელებმა უზრუნველყვეს შემოსული ფოთლის ყოველდღიური, სისტემატური კრეფა, რის შედეგად მაისის დავალება ვადაზე ადრე გადაჭარბებით შესრულდა. მოიკრიფა 39.044 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად 32.265 კილოგრამისა. ბეჯითად შრომობენ ივნისშიც. უკვე დამზადებულია ათასობით კილოგრამი ხარისხოვანი ნედლეული.

კრეფაში წინ მიდიან ბეთლემის ცხაკაიას სახელობის და კიროვის სახელობის, ზანას ჟდანოვის სახელობის, ეკის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებიც.

მაგრამ ცალკეულ კოლმეურნეობათა წარმატებანი იმას როდი ნიშნავს, რომ ცხაკაიას რაიონში ჩაის კრეფაში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყოს. ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ნ. ცხვიტავა, პარტორგანიზაციის მდივანი ი. დავითაია) ეკონომიკაში ჩაის წამყვანი ადგილი უჭირავს. ამიტომ მას დიდი მზრუნველობით უნდა უვლიდნენ. მაგრამ ეს ასე არ არის. პლანტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი დასარევლიანებულია, დროზე არ ხორციელდება ყველა აგროტექნიკური ღონისძიებანი, რის გამო ზოგან ჩაის ბუჩქის ზრდა-განვითარება სუსტია. დანერგილი არ არის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა, რამაც გამოიწვია მისი ნაწილობრივად გაუხეშება, დანაკარგები. დაგეგმილია, რომ ყოველდღიურად მოიკრიფოს 2.000 კილოგრამი ჩაი, მაგრამ იმის გამო, რომ ყველა კოლმეურნე არ მონაწილეობს შრომაში, საშუალოდ კრეფენ 1.000-1.200 კილოგრამს.

კოლმეურნეობაში მთლიანად გამოყენებული არ არის ქალთა შრომა, ამითაც აიხსნება ის, რომ მაისში დავალება 84,2 პროცენტით შეასრულეს. ეს ჩამორჩენა ივნისშიც გრძელდება. ხშირია კრეფის წესების უხეშად დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, 24 მაისს მოკრეფილი 1.130 კილოგრამი ფოთოლი უხარისხო იყო და უშაფათის ჩაის ფაბრიკას ჩაბარდა როგორც არაკონდიციური მასალა. მიუხედავად არაერთგზისი გაფრთხილებისა, მსგავსი ფაქტები შემდეგშიც გამეორდა. უკონდიციო აღმოჩნდა 1.322 კილოგრამი ჩაი, რომელიც 30 მაისს მოიკრიფა. იგი ცენტრალური პუნქტიდან უკანვე დააბრუნეს და რამდენიმე დღეს კოლმეურნეობის ეზოში ეყარა. უნდა ითქვას, რომ სუსტია მტს-ის აგრონომის ვ. ტყებუჩავას დახმარებაც კოლმეურნეობისადმი. იგი ჩაის პლანტაციების იშვიათი სტუმარია.

წელს სოფელ პირველი მაისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს უნდა მისცეს 267.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ეს დიდი და სერიოზული დავალებაა. ამ დავალების შესრულებისათვის ყველა პირობა არსებობს, მაგრამ ისინი სათანადოდ არ არის გამოყენებული. მაისში გეგმის შესრულებას 5 ტონა ჩაი დააკლეს. ასეთი ჩამორჩენა უმთავრესად კოლმეურნეობის გამგეობის (თავმჯდომარე დ. ჭუბაბრია) და პარტორგანიზაციის (მდივანი ა. ქობალია) უუნარო ხელმძღვანელობით აიხსნება. მათ ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ მუშაობა ახალი ვითარების შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩაი უხვად იყო, ივნისის პირველ სამ დღეში მოკრიფეს მხოლოდ 431 კილოგრამი ჩაი. პირველი ბრიგადის 18 მეჩაიედან 10 კაცი შრომაში არ მონაწილეობს. ვ. ფაჩულია, ე. პარკაია, ნ. ფაჩულია არღვევენ შრომის დისციპლინას. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა აგრეთვე პლანტაციების მოვლა-პატრონობას. ჩვენ ვნახეთ, რომ დაახლოებით 4-5 ჰექტარი ფართობი სარეველა ბალახებით იყო დაფარული. მეჩაიეები უზრუნველყოფილი არ არიან კალათებით, რის გამო ზოგიერთ ბრიგადაში ფოთოლს კალთაში კრეფენ.

ცხაკაიას ჩაის ფაბრიკას სოფელ პირველ მაისში გახსნილი აქვს მიმღები პუნქტი, სადაც ნორმალური მუშაობისათვის არავითარი პირობები არ არსებობს. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა დილით მოკრეფილ ფოთოლს მეორე დღეს ეზიდებიან ცენტრალურ მიმღებ პუნქტში. ჩაის ფოთლის კრეფაში მთელ რესურსებს არ იყენებენ ხორშის კუიბიშევის სახელობის და სტალინის სახელობის, გეჯეთის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

ბეთლემის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაშლილია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას მდივანი მიმდინარე წლის თებერვლიდან არა ჰყავს. მდივნის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე ბ. შეროზია, რომელიც უცოდინარობას ამჟღავნებს და ამას თვითონაც აღიარებს. იგი სოფლის კოოპერატივის ნოქარია და კოლმეურნეობასთან უშუალო დამოკიდებულება არა აქვს. პარტიული კრება 3-4 თვეა არ გამართულა, აგიტატორები სრულ უმოქმედობას იჩენენ, სისტემატურად არ გამოდის კედლის გაზეთი, საველე ფურცლები. ცხადია, თუ რა პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაჩაღება შეუძლია რაიკომისაგან დავიწყებულ ასეთ პარტიულ ორგანიზაციას!

ამ ფაქტებიდან პარტიის ცხაკაიას რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა და მტს-მა სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ, რათა მოკლე დროში დაძლიონ ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფაში.

ა. პატარაია,
„კომუნისტის" საკ. კორ.



ნაყოფიერ მუშაობას ეწევა გორის მეხილეობა-მებოსტნეობის საცდელი სასელექციო სადგური. დირექტორის მოადგილის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ე. ერისთავის უშუალო ხელმძღვანელობით აქ მრავალი ახალი ჯიშის ხეხილი იქნა გამოყვანილი.

განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ელენე ერისთავს ატმის ახალი სელექციური ჯიშების: „პიონერის", „გორული საადრეოს", „ნობათისა" და „ერისთავის ვარდისფრის" გამოყვანაში.

1945 წლიდან სადგური მუშაობს პამიდორის ჯიშის „ბაზრის საკვირველებას" გამოყვანაზე, რომელიც რუსეთიდან იქნა შემოტანილი. აღნიშნულმა პამიდორმა არამც თუ კარგად გაიხარა ჩვენში, არამედ რვა წლის სელექციური მუშაობის შედეგად მისი მოსავლიანობა 25-30 პროცენტით გაიზარდა. ელენე ერისთავი 1954 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატია.

**სურათზე:** დოცენტი ე. ერისთავი ამოწმებს ხელოვნური დამტვერვის შედეგად მიღებული ალუჩის მსხმოიარე ხეს.

ტექსტი და ფოტო შ. კუკულავასი.

## საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედების დათვალიერება

დამთავრდა საქართველოს კომპოზიტორების ახალ ნაწარმოებთა დათვალიერება. უკანასკნელ კონცერტებზე შეასრულეს სიმფონიური, კამერული და ვოკალური ნაწარმოებნი.

წარმატებით შეასრულეს სტალინური პრემიის ლაურეატის ს. ცინცაძის № 1 სიმფონია ოთხ ნაწილად.

მ. დავითაშვილის საორკესტრო სიუტა მოგვითხრობს, თუ რა შემოქმედებითს შრომას ეწევა საბჭოთა ხალხი, რომელიც ბუნებას გარდაქმნის. შესრულებულ იქნა აგრეთვე მისი ვოკალური ნაწარმოებნი — სიმღერა ლესია უკრაინკაზე პოეტ ს. ეულის ტექსტის მიხედვით და „სალამო თბილისის ზღვაზე" პოეტ გ. აბაშიძის ტექსტის მიხედვით.

მოსკოვისა და ლენინგრადის კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა მონაწილეობით გაიმართა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმი, რაც სამ დღეს გაგრძელდა. პლენუმმა აღნიშნა, რომ ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებთა დათვალიერება შემოქმედებითი ანგარიში იყო ფართო საზოგადოებრიობის წინაშე.

მაგრამ როგორც პლენუმზე აღინიშნა, საქართველოს კომპოზიტორთა მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. ნაკლებად ექცევა ყურადღება საოპერო, საგუნდო და სხვა ნაწარმოებთა შექმნას.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია კომპოზიტორების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, ის, რომ მათ შექმნან მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებნი. (საქინფორმი).

# შრომის ნაყოფიერების გადიდების გზები ლითონდასამუშავებელ საწარმოებში

მოსკოვისა და მისი ოლქის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მიერ წამოწყებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის მიზანია შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდების მიღწევა, როგორც ცნობილია, ფართო გამოხმაურება გამოიწვია მთელ ჩვენს ქვეყანაში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ახლა, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, შეუძლებელი იქნება ტექნიკური პროგრესის გზით სწრაფი წინსვლა, თუ გადაჭრით არ ავამაღლეთ შრომის ნაყოფიერება, არ მივაღწიეთ მუშათა საშუალო გამომუშავების მკვეთრად გადიდებას.

შრომის ნაყოფიერების გადიდების დიდ რეზერვს, შეიძლება ითქვას, განუსაზღვრელ შესაძლებლობას, წარმოადგენს შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვა, ამ მეთოდების შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა, საწარმოო პროცესთა რაციონალიზაცია, შეუნელებელი წინსვლა ტექნიკური პროგრესის გზით. ამიტომ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში წარმოების ცალკე მოწინავე ადამიანთა წამოწყება ან მიღწევა, საწარმოო „რეკორდის" დამყარება მყისვე პოულობს მიმდევრებს, მასობრივ კუთვნილებად ხდება.

მაგალითად, ასე მოხდა ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდების გავრცელება ჩვენს საწარმოებში. საქართველოში ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდების მასობრივი დანერგვა დაიწყო 1948 წელს. ასევე სწრაფად გავრცელდა ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში ლითონის ძალოსნური ჭრის მეთოდი, რომლის ავტორიც არის შუავოლგელი ხარატი ვასილ კოლესოვი, კერამიკული საჭრისების გამოყენება და ა. შ.

მაგრამ არის გავრცელებაც და „გავრცელებაც". რომელიმე პროგრესული წამოწყებისათვის მხარდაჭერა, დეკლარაციულად მოწონება და სურვილის გამოთქმა, რომ ამ წამოწყებას დავნერგავთო, ადვილია, მაგრამ უფრო ძნელია მუშაობის ახალი მეთოდის მასობრივად დანერგვა.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში ბევრი მოწინავე ადამიანი გვყავს; მრავლად არიან ისინი კერძოდ ლითონდასამუშავებელ საწარმოებში.

ამას წინათ პოლტავიდან (უკრაინა) დაბრუნდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გამოჩენილი ჩქაროსანი ხარატი, ნოვატორი ი. ჭუმბურიძე, რომელმაც საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნებიდან იქ ჩასულ ხარატებს გააცნო თავისი მუშაობის ხერხები და გამოცდილება ლითონის ძალოსნურ ჭრაში და კერამიკული საჭრისების გამოყენებაში. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ჩქაროსანმა ხარატებმა პ. ზუბრიცკიმ, ზ. ძველუკაშვილმა და ფ. კუჩიევმა შარშან სსრ კავშირის მძიმე ჩარხმშენებლობის ქარხნების ხარატებთან შეჯიბრებაში საკავშირო პირველობა მოიპოვეს, მაგრამ განა ყველა ჩვენ საწარმოში იცნობენ ი. ჭუმბურიძის ან სხვა მოწინავე ნოვატორების მუშაობის გამოცდილებას? არა.

შეიძლებოდა მრავალი ასეთი მოწინავე ხარატის, მრანდავის, ლითონდამუშავების საქმის სხვა გამოჩენილი ნოვატორის დასახელება, რომელთა გამოცდილებაც ყველგან, სადაც არის ამის საჭიროება და შესაძლებლობა, არ არის დანერგილი. სამწუხაროდ, ჩვენში ისე ხდება, რომ ცალკე ნოვატორთა მიღწევები ითქმება უმეტესობის დაბალნაყოფიერი მუშაობის შედეგებში.

ვინ უნდა მეთაურობდეს საწარმოში ნოვატორთა გამოცდილების პოპულარიზაციას, ვინ უნდა იყოს ამ საქმით ყველაზე მეტად დაინტერესებული? — უსათუოდ საამქროს ოსტატი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენში ამ საქმეს აფერხებს და ხელს უშლის საამქროს ოსტატის როლის შეუფასებლობა.

საამქროს ოსტატს უნდა ეკისრებოდეს შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელება და დანერგვა საამქროს ყველა უბანზე, ყველა რგოლში. არ მოიძებნება ისეთი საამქრო, სადაც არ ჰყავდეთ კარგად მომუშავე ადამიანები. რა წესით მუშაობენ ისინი, როგორი ხერხით ასრულებენ საწარმოო დავალებებს? შევისწავლოთ ეს საქმე და შევასწავლოთ იგი ყველას, რათა უზრუნველვყოთ საერთო აღმავლობა. ეს არ არის ძნელი და გადაულახავი ამოცანა, ვინაიდან მუშა საქმეს ყოველთვის შეგნებულად უდგება, ხოლო შრომის გაუმჯობესებული ხერხების გამოყენება რომ მისთვის მატერიალურად ხელსაყრელია, ეს მან კარგად იცის. ახლა კი საამქროთა ოსტატების ყურადღება გამიზნულია იქითკენ, რომ როგორმე შეასრულონ დღევანდელი საგეგმო დავალება.

საამქროს ოსტატი შემოქმედებითად უნდა ჩაერიოს მასთან მომუშავე ნოვატორების შრომაში, შეისწავლოს, აითვისოს მათი მუშაობის მეთოდები და უზრუნველყოს ამ მეთოდების შესწავლა საამქროს ყველა უბანზე. დაკვეთის მიღება, მუშებისათვის ნახაზების განაწილება და შემდეგ მათგან ამ ნახაზების მიხედვით ნაკეთები პროდუქციის მიღება — ეს ყოველივე ის როდია, რასაც ჩვენ საამქროს ოსტატისაგან უნდა მოვითხოვდეთ. საამქროს ოსტატმა თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს მოწინავე ნოვატორთა ჯგუფი, ყველანი ჩააბას მათი მუშაობის ხერხების სხვებისათვის გადაცემის საქმეში.

ლითონის დამუშავების ჩქაროსნული მეთოდების დანერგვა საწარმოს კოლექტივის შრომის ნაყოფიერების მკვეთრი გადიდების საშუალებაა. ამ მეთოდების დანერგვაში მთავარი როლი უნდა შეასრულონ საამქროთა ოსტატებმა და ტექნოლოგებმა და ამ მხრივ მათ მუშაობას თვალყური უნდა ადევნონ და დაეხმარონ საწარმოთა ხელმძღვანელმა სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა მუშაკებმა. საინტერესო გამოცდილებაა ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ქარხნებში. ბევრგან შემოიღეს აქტების შედგენა ლითონის ჩქაროსნული დამუშავების მეთოდების დანერგვის შესახებ. ამან დიდად აამაღლა საამქროთა ოსტატების პასუხისმგებლობა და ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების საერთო ზრდას.

ლითონის ჭრის ჩქაროსნული მეთოდების დანერგვა დამოკიდებულია შრომის სწორ ორგანიზაციაზე, კერძოდ მუშის სამუშაო ადგილის სანიმუშოდ მოწყობაზე. ამ მიმართულებით საყურადღებო ნაბიჯი გადადგა ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრამ, რომლის წარმომადგენლებმაც სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მექანიკურ საამქროში ამავე ქარხნის ნოვატორთან ი. ჭუმბურიძესთან, გამოცდილ ინჟინრებთან გ. სიმონიანთან და ნ. ჩოგოვაძესთან ერთად დაამუშავეს ხარატის სამუშაო ადგილის ტიპური კონსტრუქცია. კათედრის ბრიგადამ ქარხნის დასახელებულ წარმომადგენლებთან ერთად იკისრა 1 ივლისისათვის დაამთავროს ამ ტიპური კონსტრუქციის დანერგვა მექანიკურ საამქროში, რაც დიდად შეუწყობს ხელს ხარატების შრომის ნაყოფიერების მკვეთრ ამაღლებას.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში წარმოების ეკონომიკის საკითხებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებიც. იშვიათად იწერება, მაგალითად, კარგი დისერტაციები წარმოების ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიც არის სალ შენადნობთა საჭრისებისა და კერამიკული საჭრისების გამოყენების ეფექტურობა, რომელი საჭრისით უფრო ხელსაყრელია მუშაობა ამა თუ იმ საწარმოში და სხვ.

საწარმოთა ხელმძღვანელებისათვის საინტერესოა იმის ცოდნა, თუ რა ეფექტი მოგვცა ამა თუ იმ საწარმოში მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვამ, რა ეკონომიას მიაღწიეს იმით, რომ გადავიდნენ კერამიკული საჭრისების გამოყენებაზე, როგორი გავლენა მოახდინა ლითონის ჩქაროსნული ჭრის მეთოდის მასობრივად დანერგვამ პროდუქციის გამოშვებაზე, მის ხარისხზე და ა. შ. საჭიროა უფრო პრაქტიკულ-გამოყენებითი პრობლემების გაშუქება.

მაღალი სიჩქარეებისათვის ბრძოლა ჩვენი ახლანდელი ეპოქის დამახასიათებელია. ტექნიკაში, განსაკუთრებით მრეწველობაში მაღალი სიჩქარეების მიღწევა მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის წარმატებით შესრულების საშუალებაა, ამას კი ხელს შეუწყობს მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების მასობრივად დანერგვა, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება.

ა. ავაქოვი,
დოცენტი, ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის უფროსი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# სიმონ ჩიქოვანის ახალი ლექსები

## „მგზავრის დღიურები"

თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიაში ფართოდ არის დანერგილი ინტერნაციონალური იდეები, საპატიო ადგილი უკავია არა მარტო სსრ კავშირში შემავალი მოძმე ხალხების, არამედ მსოფლიოს დემოკრატიულ ბანაკში გაერთიანებული ქვეყნების მშრომელთა განახლებული ცხოვრების თემებს. ამ მიმართულებით ს. ჩიქოვანმა დღემდე ბევრი საყურადღებო ნაწარმოები შექმნა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის პოეტურ პროდუქციაში მისი ახალი წიგნი „მგზავრის დღიურები" (გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი") უაღრესად თვალსაჩინო მოვლენაა და ავტორის სერიოზულ შემოქმედებით წინსვლაზე მეტყველებს.

წიგნის პირველ სამ განყოფილებაში „ლირიკული რვეული", „ზღვის პირას" და „ძველი რვეულიდან" შეტანილი ლექსების დიდი ნაწილი გამოირჩევა საკითხების ახლებურად გაშუქებით.

„ჩვენ სიყმაწვილე გვრგებია წილად,
სხვას სიბერე და გვიანი ჟამი", — წერს პოეტი და ამ უბრალო სტრიქონებში ჩატეული აზრი მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ხალხის გულისთქმას. ასეთივე შინაარსის არის „მაისის დილა". აქ ყურადღება გამახვილებულია ცვრით გავსებულ ყლორტებზე, ცისარტყელებზე, მთის მოჩუხჩუხე ნაკადულებზე, მაისის მაუწყებელ გრგვინვაზე, ახალი ყლორტების გახსნაზე. ფერების ასეთი შეხამებით, სიცოცხლისა და განახლების დამახასიათებელი სახეების, ეპითეტების საშუალებით პოეტი ნათლად გვიჩვენებს ჩვენი ცხოვრების სიდიადეს, გვიხატავს საბჭოთა ეპოქაში დაბადებული ადამიანის სულიერი მოძრაობის, ოპტიმისტური განწყობილების მეტყველ სურათს. სრულიად ბუნებრივად ჟღერს სტრიქონები:

„ხალხმა ასწია მამული მხრებით,
გახსნა მომავლის ურიცხვი კვირტი
და პირველ მაისს ამაყად ვხვდები,
რომ ვარ საბჭოთა სამშობლოს მკვიდრი".

პოეტის სულიერი სამყარო ვრცელი და მრავალფეროვანია, გამდიდრებულია სიცოცხლის სიყვარულით, დიადი მომავლის ურყევი რწმენით, ბედნიერი ცხოვრების მქონე ადამიანის აღფრთოვანებით. სამგორის ველზე დაძრული ირმი პოეტს წარმოდგენილი აქვს როგორც ბუნების დამორჩილების მკაფიო შედეგი — „და ირმი, მთების მკვიდრი, ეწყვილება წინ მიმავალ ვოლგას". ს. ჩიქოვანი სიყვარულით წერს მეგობრებზე, ახალ გიგანტებზე მომუშავე, კომუნიზმის მშენებელ დევგმირებზე. „ქარს მათი წრით ველობები და ვერ მპოვებს მტერი განმარტოებით" — აი როგორია ავტორის სულიერი ნათესაობა და სიახლოვე ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებთან.

დიდი ადამიანური გრძნობაა გამოთქმული „მიტოვებულ სახლ-კარში". ომში წასული მოძმის გახსენება, მისი წიფლის სახლი, დაცარიელებული მდუმარე ეზო, შენობაში გამეფებული სიმარტოვე და ღობის პირად წამოზრდილი ჩირგვები მკითხველის გონებაში აღადგენენ მტრის ბოროტმოქმედების შედეგს. „ეზოს ბრძოლა გადაეხადა და ერთ თვეში მიეღწია სიბერემდის" — შესანიშნავად ნათქვამი ეს ფრაზა სურათს კიდევ უფრო აძლიერებს. ლექსის ლირიკული გმირი გადაწყვეტს ეზოს გაცოცხლებას, მიტოვებულ სახლში ოჯახური სითბოს დამკვიდრებას;

„ძაღლს მოვიყვან მთიდან ყეფით,
ცეცხლს ავანთებ, ჭერს ღადარში ჩავახედებ.
კარს, შეფრქვეულს სისხლის შხეფით,
გავრეცხავ და მოძმეს სუფთად დავახვედრებ".
მალე თუ მასპინძელიც გამოჩნდება,
„ვეტყვი: დაგვხვდი მეგობარო,
აწ იცოცხლე ამ ეზოში ასი წელი,
გადმოხეთქავს გრძნობის წყარო,
და როგორც ძმას, მომეხვევა მასპინძელი".

ომში წასული მოძმისადმი ასეთ გულითად ურთიერთობაში, მისთვის მეგობრული ზრუნვის განწყობილებაში ნათლად გამოსჭვივის დიდი ჰუმანური მისწრაფებანი. ლექსი „მიტოვებული სახლ-კარი" საბჭოთა ადამიანის მდიდარი სულიერი სამყაროს შესანიშნავად გამომხატველი ნაწარმოებაა.

თემატიკური აქტუალობით ყურადღებას იპყრობენ განყოფილებაში „ზღვის პირას" შეტანილი ლექსები. ავტორი მათში ახერხებს ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო სამყაროს ცხოვრების დაპირისპირებას. პოეტის მიერ შექმნილი სურათი მკაფიო და დასამახსოვრებელია: ისმის ლაზის მწუხარე სიმღერა, ზღვას ნახი პატარძალი მესტირის, დედა ბავშვების საფლავს დაჰქვითინებს, მთაში მდინარე ჩუმი ხმით გოდებს, ლაზის ოჯახში ვარამი მეფობს და ცოცხალ ადამიანებს დოლარებზე ჰყიდიან. ამ კოლორიტულ ნიშნებში გარკვევით იგრძნობა თურქეთის მშრომელთა დაბეჩავებული ხვედრი. აწერილი სიტუაცია სტატიკური როდია. ნაჩვენებია პერსპექტივაც: მოჩანს შორეული აფრა, როგორც მომავლის ნათელი იმედი, ზღვაზე ლაზები ჩანან, ავტორს ეხმიანებიან და ეძახიან.

მაღალი პოეტური კულტურის ნიმუშებია ლექსები „მეომარი და ქლიავი", „მამლის ყივილი". არც ერთ მათგანში არ მოიპოვება ერთხელ ნათქვამის რაიმე მსგავსება. პოეტის სტრიქონები ნამდვილად ახალია, მეტყველია, გვაგრძნობინებს სიცოცხლისადმი სიყვარულის უძლეველობას: მის წინაშე უძლურია ტყვიების წვიმაც და ყუმბარების ნიაღვარიც, — სიცოცხლე კვლავ თავისი გზით ივლის და ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს.

ხალხთა მეგობრობის თემაზე შექმნილი „მეგობრობის სიმღერები" მოძმე სომხეთის ახალი საბჭოური ცხოვრების ერთი მგზნებარე ჰიმნია. ავტორი აქ ყურადღებას აჩერებს დამახასიათებელ მოვლენებზე, ფაქტებზე. პოეტისათვის სასიხარულოა ილია ჭავჭავაძის კარმიდამოსადმი ოვანეს თუმანიანის ტრფიალი და ყვარელში ჩამოსვლა, სამ ენაზე მოსაუბრე საიათნოვას ჰიანურის ლარები, სევანის ტბის გამჭვირვალე ზვირთები, ბეირუთიდან ჩამოსული მეფუტკრე, ფერმაში მომუშავე ნაზანის საქმიანობა და ზანგას ტალღების ჩხრიალი. შემთხვევითი არ არის ფიგურულად ნათქვამი სტრიქონები: „ჩემი გზა ჰგავდა ცისკრის არშიას და ზანგა იყრის ტოლი მგონია". სომხეთში მოგზაურობის დეტალები პოეტს ტყუილად როდი აგონებს ცისკრის არშიას, ხოლო მდინარე ზანგა — იორს. აქ დასურათებულია მოძმე სომხეთთან ქართველი ხალხის ორგანული სიახლოვე და სიყვარული.

ომის მძაფრი სიძულვილი და მშვიდობის დიადი რწმენა შესანიშნავი პოეტური ოსტატობით აჟღერებულია „მგზავრის დღიურების" სხვა განყოფილებებშიც. „პოტსდამში" მძლავრად იგრძნობა მშვიდობისადმი ხალხთა მისწრაფება და ამ საქმისადმი ბრძოლის პერსპექტივა.

„ახლა შრომის და სიფხიზლის დროა,
ფოთლები წვანან გარინდულ ტბაზე
და ამერიკულ თვითმფრინავს მოაქვს
ომის ყრუ ხმები პოტსდამის ცაზე.
უნდა დაისხას აკვანში თოთოს,
ბალის მშენებელს ჩააცვას თალხი,
მაგრამ ივნისში აწ ველარ მოთოვს,
ხალხის მშვიდობას დაიცავს ხალხი".

მშრომელთათვის სიფხიზლის მომწოდებელი და მომავლის ნათელი რწმენის გამომხატველი სიტყვები დამახასიათებელია ს. ჩიქოვანის პოეზიისათვის. ეს ნათლად იგრძნობა სარეცენზიო წიგნის უკანასკნელ განყოფილებაში „პოლონეთის გზაზე" და „გოეთეს ცაცხვებთან".

მშვიდობისათვის, მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლა თანაბრად სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონეა როგორც პოლონეთის სახალხო-დემოკრატიული, ისე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკების მშრომელთათვის. ს. ჩიქოვანი სიყვარულით გვიჩვენებს ამ აზრის დამადასტურებელ მეტყველ სურათებს. თვითეული მათგანი ცოცხალი ცხოვრების წიაღიდან არის აღებული, თავისებურად გადატეხილია პოეტის აზროვნების პრიზმაში და მკითხველს მკვეთრად აგრძნობინებს ამ ორ ქვეყანაში მომხდარ ისტორიულ ცვლილებებს, პროგრესის, ახალი ეპოქის დამკვიდრებას, ამ სიახლეში საბჭოთა ხალხის დიად ისტორიულ დამსახურებას. „რა გრძელი გზა გაუკაფავს საბჭოთა გმირს ვოლგის კიდით, კვამლს აცლიდა სახლს და აკვანს და გაჰკიდა ძმისთვის ხიდი", — წერს პოეტი. სწორედ ამ გაკაფულ გზაზე მოგზაურობამ ავტორს ახალი შემოქმედებითი ჰორიზონტი გადაუშალა, მისი ჩანგი ახლებურად ააჟღერა.

მოგზაურობისას პოეტის ცნობიერება ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით მდიდრდება. ლექსი „პოლონეთის გზაზე" დიდი საზოგადოებრივი მოვლენების მხატვრული მატიანეა. აქ თანაბარი სიყვარულით დახატულია პრეზიდენტისათვის პატაკის ჩასაბარებლად მიმავალი პოლონელი მეშახტის განცდები და სსრ კავშირის დიდი განმათავისუფლებელი მისია, პოლონელი მესაზღვრის გრძნობები თუ მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის პერსპექტივები. მშრომელთა აღმაფრთოვანებელია ურალელი დევგმირის, პოლონელი ხალხის განთავისუფლებისათვის მამაცთა სიკვდილით დაღუპული გრიგოლ კუნავინის უკვდავი გმირობა. მის სახელს სკოლაში მოსწავლენი დაფაზე წერენ, ხოლო საფლავს — თაიგულებით ამკობენ. ყველგან სამშობლოს საკეთილდღეო შრომის პათოსია. „გარჯაშია მთელი მხარე და ჩემს მამულს ემგვანება", — აღნიშნავს ს. ჩიქოვანი და თითქმის ყოველ ლექსში უსვამს ხაზს თანამედროვე პოლონეთში ახლის ყლორტების დამკვიდრების მომხიბლველობას.

ლექსების მთელი კრებულიდან მხატვრული სახეებითა და იდეური შინაარსით გამოირჩევა „კრაკოვში", „მოსავლის დღესასწაული კრაკოვში", „ლენინის სახლი სოფელ პორონინოში" და „გორის სახლი პორონინოში". მათში ცოცხლად გამოხატულია ლენინ — სტალინის დიადი იდეების უმაგალითო სასიცოცხლო ძალა და გავლენა პოლონელი ხალხის ცხოვრებაზე. ტყუილად კი არ ახსენებს პოეტი ლენინის დროინდელ ჩინარს, ქარის ქროლაზე მის შრიალს და თითქოს მოესმის ბრძენი ბელადის მტკიცე ნაბიჯების ხმა, ხოლო პორონინოში მისი ნაკვალევი ბილიკებს დღესაც აჩნიათ.

„ჰქონდა სითბო და ფხიზელი ძილი,
ვოლგას ჰგავდა, დიდ გვალვაში შეჭრილს
და ლენინის აზრი დათესილი
დღეს აპურებს პოლონეთის ჯეჯილს".

გვალვიან მიწაზე ვოლგის წყლის შეჭრა ნათესის ნამდვილი გაცოცხლებაა და ავტორიც ამ შედარებას იყენებს ლენინის მოღვაწეობის დასახასიათებლად. დღეს პოლონეთი ახალი ცხოვრების გზით მიდის და პოეტს ეს სავსებით სამართლიანად მიაჩნია ლენინის აზრის განხორციელებად. პორონინოს ისტორიული სახლის მნიშვნელობას კარგად ახასიათებს მოკვეთილი ფრაზები — „კარმიდამო ჰგავს ანთებულ ცისკარს და პარტიის მატიანის ფურცელს", „და ამ სახლმა ახალ პოლონეთში მომავლისათვის ჩადგა საძირკველი". აქვე მუზეუმის პირველსავე ოთახში დგას გორის პატარა სახლის მაკეტი, როგორც ორი ბრძენი ადამიანის განუყრელობის, მათი იდეებისა და შეხედულებების ერთიანობის სიმბოლო.

ავტორი გერმანელი ხალხის ახალ ცხოვრებაში ამჩნევს დამახასიათებელ დეტალებს. აი მინდვრად მომკელი გასული. ნუთუ ეს კაცი მოდიოდა ჩვენს სამშობლოში ამაოხრებლად, გზებზე ფერფლს აყენებდა და ძვლებს თესავდა! პოეტს სჯერა, რომ „ეს არ დასხმია შორეულ ჩიგემს", მაგრამ მომკელის გულში მაინც სინდისის ქენჯნა იგრძნობა. მას ბედნიერება შრომაში უპოვნია, მამულისათვის ჩირქის მორეცხვას ოფლით ცდილობს და მშვიდობის საქმეს ემსახურება. მშვიდობის სამსახურშივეა ჩამდგარი დიდი გერმანელი პოეტის გოეთეს პოეზიაც. ლექსებში „გოეთეს საფლავთან" და „მშვიდობის კარნავალი ვაიმარში" გაცოცხლებულია უკვდავი შემოქმედი, როგორც პროგრესისა და წინსვლისაკენ მომწოდებელი, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის შთამაგონებელი.

საგულისხმოა წიგნის ავტორის ნათქვამი:

„ირგვლივ კიდევ შერუჯული ლოდებია,
არსად ჩანან გაპრეხილი ტევტონები.
მშვიდობის ხმა ყოველ მხარეს მოსდებია,
შევხარი და აპრილის რტოს ვეტოლები".

მართლაც, რაოდენ სასიხარულო და აღმაფრთოვანებელია მშვიდობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის წარმატებანი! პოეტის აღტაცებაც ზუსტად არის გამოხატული: „შევხარი და აპრილის რტოს ვეტოლები". ასეთი განწყობილება სარეცენზიო წიგნის თითქმის ყველა ლექსშია პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოვლინებული.

ს. ჩიქოვანის „მგზავრის დღიურებს", მიუხედავად დიდი პოეტური ღირსებისა აქვს ნაკლოვანებებიც. პოეტის შემოქმედებაში აქა-იქ ჯერ კიდევ იგრძნობა უსაგნო ლირიკით გატაცება. დამახასიათებელია „თვინიერი ზღვა" (აი სათაურიც!) აქ ლაპარაკია ნაწვიმარ ზღვაზე, მასზე დანთებულ სანთლებზე, გულის ევებით შეპყრობაზე და მთელი სურათი მთავრდება ასეთი სტრიქონებით:

„ვპოვებ ნიჟარით შეკრულ ხომალდებს,
შემიპყრობს დილით უცხო ზმანება
და ზღვა თათივით ტალღას მომადებს,
თვინიერ სპილოს დაემგვანება".

ძნელი გასაგებია, რას გულისხმობს ავტორი ნიჟარით შეკრულ ხომალდებში, უცხო ზმანებაში, ანდა რა შინაარსს გამოხატავს თვინიერ სპილოსთან ზღვის შედარება? ძირითადად ასეთივე აღნაგობისაა „ალვის ხე". მისი მშვენება რიყეს აჩნია და ეს ბავშვობის სიხარულს ნიშნავსო, — ამბობს ავტორი, მაგრამ მკითხველი ამ სახიდან რაიმე ნათელ აზრს ვერ გამოიტანს. საერთოდ, ბუნდოვნების საფრთხე ს. ჩიქოვანის პოეზიაში დღემდე მაინც იგრძნობა. ბევრი გაუგებარი სახეა ლექსში „ეგ საუბარი შევწყვიტოთ წუთით". პოეტი თბილისის წვიმას ამგვარად აგვიწერს:

„ცერცვი ცვივა თუ ჩხრიალებს ვერცხლი?
მთაწმინდას წვიმის აცვია თორი.
სად არის ჩემი აპრილის ცეცხლი,
შევანელო და ვაპკურო თქორი".

პირველ ორ სტრიქონს მექანიკურად, სრულიად ულოგიკოდ მოსდევს მესამე-მეოთხე სტრიქონი. უაღრესად კვალიფიციურ მკითხველსაც გაუჭირდება ამ სტროფის გაშიფვრა. ასეთი ადგილი ს. ჩიქოვანის ლექსებში ერთი და ორი როდია. მართალია, უკანასკნელ წლებში დაწერილ ნაწარმოებებში ბუნდოვანება, გრძნობას მოკლებული სტრიქონები შემცირდა, მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოსწორებული. პოეტი თითქოს ღალატობს მის მიერვე წამოყენებულ დებულებას: „შემოქმედებას სირთულე უყვარს, მხოლოდ გასაგებ ენით ნათქვამი". მის ლექსებში ზოგჯერ აზრი, მსჯელობა უფრო მეტია, ვიდრე გრძნობა. ეს გარემოება ს. ჩიქოვანის პოეზიას გარკვეულ ჩრდილს აყენებს. მეტი ნათელი სტრიქონები, მეტი გარკვეულობა და გამჭვირვალეობა, — აი რა მოეთხოვება ამჟამად სარეცენზიო წიგნის ავტორს.

ეს ნაკლოვანებები, ცხადია, არ განსაზღვრავენ ს. ჩიქოვანის პოეზიას. უკანასკნელ წლებში იგი მეტად ინტენსიურად მუშაობს, მიდის შემოქმედებითი აღმავლობის გზით, თავის პოეტურ სამყაროს აფართოებს ახალი აქტუალური თემებით, გამომსახველობითი საშუალებებით, ავლენს მხატვრული ოსტატობის მაღალ დონეს. მისი სახეები უმეტესად ახლებურია და უაღრესად მეტყველი. პოეტი მოვლენებს ასახავს თავისებური გააზრებით, ახალი კუთხით, იყენებს ახალ რიტმს, გაუცვეთელ რითმებს, ეფექტურ პოეტურ საშუალებებს და უმეტესად შესანიშნავ შედეგებს აღწევს. ეს თვისებები მთელი სისრულით გამოვლინებულია „მგზავრის დღიურებში". აქ შეტანილი ლექსები უაღრესად საინტერესო შენაძენია ქართული პოეზიისათვის, ხელს უწყობს მისი თემატიკური რკალის გაფართოებას, სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯია საბჭოთა მკითხველების სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

პ. კოხრეიძე.

# საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 15 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ ცხრა დელეგაციის დახურულ სხდომაზე გრძელდებოდა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვა.

შემდეგი დახურული სხდომა ამ საკითხზე გაიმართება 16 ივნისს.

## ჟენევის თათბირის გარშემო

ჟენევა, 15 ივნისი. (საქდესის სპეც. კორ.). როგორც ცნობილი გახდა, გუშინ ცხრა დელეგაციის დახურულ სხდომაზე, რომლებიც განაგრძობდნენ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვას, ირჩეოდა საკითხები, რომლებიც ეხება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულებისადმი მეთვალყურეობის მოწყობას.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 10 მაისს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ შეიტანა პროექტი, რომლის მერვე პუნქტი ითვალისწინებს საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების განხორციელებისადმი კონტროლის დაწესებას და ამ მიზნით სამივე სახელმწიფოდან თვითეულში შერეული კომისიების შექმნას მეომარი მხარეების წარმომადგენელთაგან. საფრანგეთის დელეგაციის 8 მაისის წინადადებანი აგრეთვე ითვალისწინებდნენ ვიეტნამში, ლაოსსა და კამბოჯაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებისადმი საერთაშორისო კონტროლს.

კონტროლის საკითხზე დისკუსიის მსვლელობაში საბჭოთა დელეგაციამ 14 მაისს წინადადება შეიტანა საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულებაში მხარეებისათვის ხელშეწყობის მიზნით შეთანხმებაში გათვალისწინებულ იქნას ნეიტრალური ქვეყნების სამეთვალყურეო კომისიის შექმნა. რამდენადმე უფრო გვიან საბჭოთა დელეგაციამ ამ კომისიის შემადგენლობაში დაასახელა შემდეგი ქვეყნები: ინდოეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და პაკისტანი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ თავის მხრივ შეიტანა წინადადებანი, რომლებიც მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად შეიცავენ შერეული კომისიებისა და საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიის საკითხს.

ხსენებულ წინადადებათა განხილვისას თათბირის მონაწილეებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს შექმნას როგორც შერეული კომისიები, ისე საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისია. ამასთან ერთად გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ არ არის შეთანხმება შერეული კომისიების ფუნქციათა და რწმუნებათა შესახებ, საერთაშორისო კომისიის შემადგენლობის საკითხზე და იმაზე, თუ რა წესით უნდა მიიღოს გადაწყვეტილებანი ამ კომისიამ.

სსრ კავშირის დელეგაცია, ეხებოდა რა შერეული კომისიების ფუნქციათა და რწმუნებათა საკითხს, იმას ემყარებოდა, რომ ამ კომისიების საჭიროება გამომდინარეობს საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ თვით შეთანხმების ხასიათიდან, რომლის დაცვა უწინარეს ყოვლისა ამოცანაა ორივე მხარისა, რომელთაც უნდა დაეკისროს მთავარი პასუხისმგებლობა შეთანხმების პირობების შესრულებისათვის. საბჭოთა დელეგაციის აზრით, შერეულმა კომისიებმა უნდა უზრუნველყონ საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულების კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება ადგილებზე.

რაც შეეხება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებისადმი საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიის ფუნქციებსა და რწმუნებებს, საბჭოთა დელეგაციის აზრით, ამ კომისიის მთავარი ამოცანები უნდა იყოს მეთვალყურეობა იმისადმი, რომ დაშვებულ არ იქნას ინდოჩინეთში გარედან ჯარების შეყვანა, ყოველგვარი იარაღისა და საომარი მასალის შეტანა, იმისადმი, რომ ორივე მხარე ახორციელებდეს დადგენილებებს სამხედრო სადემარკაციო ხაზების განსაზღვრისა და დემილიტარიზებული ზონების დაწესების შესახებ, ზონების მოწესრიგებისას სამხედრო ნაწილების ადგილგადანაცვლებისადმი ორივე მხარის მიერ სამხედრო ტყვეთა და ინტერნირებულ მოქალაქეთა რეპატრიაციის დარგში მუშაობისადმი. საერთაშორისო სამეთვალყურეო კომისიამ, როგორც საბჭოთა დელეგაცია აღნიშნავდა, შერეული კომისიის ან ამ კომისიის ერთ-ერთი მხარის თხოვნით უნდა გამოიკვლიოს დემილიტარიზებულ ზონებში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევის ფაქტები და ორივე მხარეს მისცეს წინადადება მათი აღმოფხვრის შესახებ. იგივე კომისია უნდა იძლეოდეს რეკომენდაციებს შეთანხმების შესაძლებელ შესწორებათა და დამატებათა შესახებ.

ასეთია ის პოზიცია, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ ჩამოაყალიბა ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლის საკითხის განხილვის მსვლელობაში.

საბჭოთა დელეგაცია ემყარება იმას, რომ საერთაშორისო კომისიის შემადგენლობის საკითხის გადაჭრისას დაშვებულ არ უნდა იქნას ცალმხრივობა, რადგან ეს კომისია უნდა იყოს მიუკერძოებელი ორგანო, რომელიც მოქმედებს ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

რაც შეეხება საერთაშორისო კომისიაში გადაწყვეტილებათა მიღების წესს, საბჭოთა დელეგაცია აღნიშნავდა, რომ კომისია განიხილავს სხვადასხვა მნიშვნელობის საკითხებს და რომ საჭიროა დაშვებულ არ იქნას ცალმხრივობა გადაწყვეტილებათა მიღებისას, განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე უფრო ეხება მხარეთა ინტერესებს. ამის მიხედვით საბჭოთა დელეგაცია მზად არის დაუშვას, რომ მთელ რიგ საკითხებზე კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებანი ხმის უმრავლესობით, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას განსაკუთრებული როლი კომისიის თავმჯდომარისა, რომლის ხმას, როცა კომისიის წევრთა ხმები თანასწორად გაიყოფა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

არსებული ცნობებით, გუშინდელ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციამ, რათა გაეადვილებინა შესაბამისი შეთანხმების მიღწევა, შეიტანა თავისი წინადადებანი, რომლებიც ეხებიან საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულებისადმი მეთვალყურეობის მოწყობას.

საბჭოთა წინადადებანი განსაზღვრავენ როგორც შერეული კომისიის (დაზავების სამხედრო კომისიის), ისე ნეიტრალურ სახელმწიფოთა სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობას, აგრეთვე ფუნქციებსა და რწმუნებებს.

აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის დელეგაციამ წინადადება შეიტანა შეიქმნას ორივე მხარის სარდლობათა თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლების შერეული კომისია, ამასთან ამ კომისიის უფროს წევრებს უნდა ჰქონდეთ გენერლის ხარისხი. შერეული კომისია ქმნის შერეულ საინსპექციო ჯგუფებს, რომლებშიც ორივე მხრიდან შევა წევრთა თანაბარი რაოდენობა. რაც შეეხება ამ ჯგუფების რიცხვს, იგი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

შერეული კომისია, საბჭოთა დელეგაციის წინადადებების თანახმად, ახორციელებს კონტროლს საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულებისადმი. ამ კომისიის ძირითადი მოვალეობაა კონტროლი გაუწიოს ზონების მოწესრიგებისა და მხარეების შეიარაღებული ძალების გადაჯგუფების გეგმის ზუსტად შესრულებას, აგრეთვე ცეცხლის ერთსადაიმავე დროს, ყველგან და მთლიანად შეწყვეტის უზრუნველყოფას. შერეული კომისია მოლაპარაკების გზით წყვეტს აგრეთვე ყველა საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების ყოველგვარ დარღვევასთან.

რაც შეეხება ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიას, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულებას, ეს კომისია, საბჭოთა დელეგაციის წინადადების თანახმად, უნდა შეიქმნას ნეიტრალური სახელმწიფოების — ინდოეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პაკისტანის წარმომადგენლებისაგან. ამასთან საბჭოთა დელეგაციამ განმარტა, რომ ტერმინი „ნეიტრალური სახელმწიფო“ გულისხმობს იმ სახელმწიფოს, რომლის შეიარაღებული ძალები არ იღებდნენ მონაწილეობას ინდოჩინეთის საომარ მოქმედებაში. ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიაში უნდა შედიოდეს თვითეული ამ სახელმწიფოს წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობა. კომისია ქმნის საინსპექციო ჯგუფებს, რომლებშიც შედის თანაბარი რიცხვი ნეიტრალური სახელმწიფოების მიერ დანიშნული ოფიცრებისა.

საბჭოთა წინადადებანი განსაზღვრავენ ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიის ფუნქციებსა და რწმუნებებს. კომისია ახორციელებს ზედამხედველობას, მეთვალყურეობას, ინსპექტირებას და გამოძიებას, რაც დაკავშირებულია საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულებასთან.

იგულისხმება, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისია თვალყურს ადევნებს იმას, რომ ორივე მხარემ განახორციელოს დადგენილებანი სამხედრო სადემარკაციო ხაზის განსაზღვრისა და დემილიტარიზებული ზონების დაწესების შესახებ საომარი მოქმედების შეწყვეტის შეთანხმების საფუძველზე, აგრეთვე თვალყურს ადევნებს ჯარის ნაწილების გადანაცვლებას, რაც იწარმოებს ზონების მოწესრიგების მიზნით, და ორივე მხარის მიერ სამხედრო ტყვეთა და ინტერნირებულ მოქალაქეთა რეპატრიაციას. კომისიის მოვალეობას, საბჭოთა წინადადებების თანახმად, შეადგენს აგრეთვე შერეული კომისიის ან ამ კომისიის ერთ-ერთი მხარის თხოვნით გამოაძიოს და დაადგინოს ფაქტები საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევისა დემილიტარიზებულ ზონებში. ამასთან კომისია ორივე მხარეს წარუდგენს თავის წინადადებებს დარღვევათა აღკვეთის შესახებ. კომისია ინდოჩინეთის დაწესებულ საზღვაო და საჰაერო პორტებში, აგრეთვე სახმელეთო პუნქტებში თვალყურს ადევნებს იმას, რომ შეწყდეს შეიარაღებული ძალების ახალი კონტინგენტებისა და სამხედრო პერსონალის შეყვანა, აგრეთვე ყველა სახეობის საჭურვლის, სამხედრო-ტექნიკური საშუალებებისა და საომარი მასალის შეზიდვა ინდოჩინეთში. ეს კომისია წარადგენს თავის რეკომენდაციებს საომარი მოქმედების შეწყვეტის შეთანხმების შესაძლო შესწორებათა და დამატებათა შესახებ, რეკომენდაციებს, რომელთა მიზანი იქნება ამ შეთანხმებას უფრო ეფექტიანად შესრულების უზრუნველყოფა. საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით აღნიშნულ პუნქტებში იქმნება საინსპექციო ჯგუფები, რომელთა მეშვეობით ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისია ახორციელებს თავის მოვალეობებს.

მიღებული ცნობების თანახმად საბჭოთა წინადადებანი განსაზღვრავენ აგრეთვე ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიის მუშაობის წესს. სსრ კავშირის დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რათა ამ კომისიამ მიიღოს გადაწყვეტილებანი მის წევრთა შორის თანხმობის შემთხვევაში და აცნობოს ეს გადაწყვეტილებანი შერეულ კომისიას. ეს უკანასკნელი ამასთან დაკავშირებით მოვალეა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი ან გადასცეს საკითხი ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიას ხელახლა განსახილველად. თუ ასეთ განხილვას დადებითი შედეგები არ მოჰყვა, ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისია მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ეს შერეულ კომისიას და გარანტ სახელმწიფოებს.

საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ თუ ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიაში უთანხმოება წამოიჭრა რომელიმე საკითხის განხილვისას, რომელიც ეხება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობათა შესრულებას, ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისია ან მისი ცალკე წევრები გადასცემენ შერეულ კომისიას, აგრეთვე ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულების გარანტ სახელმწიფოებს ინფორმაციას ამ საკითხზე, ამასთან აღნიშნავენ, თუ რა პოზიცია უკავიათ კომისიის წევრებს. თუ შერეულმა კომისიამ ვერ გადაჭრა უთანხმოება, შეთანხმების დარღვევის ან ასეთი დარღვევის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ღონისძიებებს ახორციელებენ გარანტი სახელმწიფოები.

საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებ კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებანი, თუ უთანხმოება არ არის.

საბჭოთა წინადადებების შესაბამისად ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიამ ხმის უბრალო უმრავლესობით უნდა მიიღოს გადაწყვეტილებანი ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ კომისიამ შეასრულოს თავისი მოვალეობა იმ მხრივ, რომ არ დაუშვას ინდოჩინეთში შეიარაღებული ძალების ახალი კონტინგენტების გარედან შეყვანა, იარაღის, საომარი მასალისა და სამხედრო-ტექნიკურ საშუალებათა შეტანა, ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევის გამო შერეული კომისიის ან ერთ-ერთი მხარის განცხადებათა გამოძიებასთან, და, ბოლოს, სხვა საკითხებზე, რომლებიც ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიის კომპეტენციაში შედის. აღნიშნული საკითხების განხილვისას იმ შემთხვევებში, როცა ხმები თანაბრად გაიყოფა, თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია. ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისია იმ პუნქტების ფარგლებს გარეთ, რომლებიც დაწესებულია საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით, გამოძიებას აწარმოებს სათანადო მხარის სარდლებთან შეთანხმებისთანავე.

როგორც აღნიშნავენ, საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ შერეული კომისია და ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისია პარალელურად მოქმედებენ. გამორიცხულია ერთი კომისიის დამორჩილება მეორისადმი. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ეფექტიანი შესრულება, ორივე კომისია მუშაობს მოვალეობათა განაწილებისა და თანამშრომლობის წესით იმ რწმუნებათა საფუძველზე, რომელთაც საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს.

იმ შემთხვევაში, თუ შერეული კომისია და ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისია ვერ მიაღწევენ საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევის ანდა დარღვევის საფრთხის და ამასთან დაკავშირებით საომარი მოქმედების განახლების საფრთხის წარმოშობის თავიდან აცილების ღონისძიებებს, საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ გარანტიების შესახებ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოები იწვევენ თათბირს კონსულტაციისათვის, რათა განახორციელონ კოლექტიური მოქმედება შეთანხმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

არსებული ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, ნაცვლად იმისა, რომ არსებითად განეხილა საბჭოთა ეს წინადადებანი, კვლავ აღძრა ლაოსისა და კამბოჯის საკითხი და ინდოჩინეთის მთელი პრობლემის განხილვა დაუკავშირა ამ საკითხის გადაწყვეტას. ამით ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია შეეცადა შექმნა ხელოვნური დაბრკოლება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების შესრულებისადმი მეთვალყურეობის დიდმნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა წინადადება შეიტანა, რომ თათბირის უახლოესი სხდომა მიეძღვნას ლაოსისა და კამბოჯის საკითხს. იგი კვლავ დაჟინებით მოითხოვდა, რომ შერეული კომისია დაემორჩილოს საერთაშორისო კომისიას და რომ საერთაშორისო კომისიის გადაწყვეტილებანი სავალდებულო იყოს შერეული კომისიისათვის.

საფრანგეთის წარმომადგენელმა განაცხადა, საეჭვოა, რომ შერეულ და საერთაშორისო კომისიებს პარალელურად მუშაობა შეეძლოთ. მან გასაგები გახადა, რომ თვითონ იმის მომხრეა, რომ შერეული კომისია დაექვემდებაროს საერთაშორისო კომისიას. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა წინადადებანი შეიცავენ ახალ ელემენტს, სახელდობრ საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარის როლის შესახებ. მან დასძინა, რომ მისთვის გაურკვეველია, თუ ვის აკისრებენ თავმჯდომარის ფუნქციებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, როგორც იუწყებიან, მხარი დაუჭირეს საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს. მათ გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის პოზიცია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უთანხმოების ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგიერთ დელეგაციას არა სურს შეუწყოს ხელი ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენას და რომ ეს დელეგაციები ცდილობენ ხელოვნური ჩიხი შექმნან თათბირზე.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისმა დელეგაციამ მოიყვანა იმის დამაჯერებელი დამამტკიცებელი საბუთები, რომ ლაოსსა და კამბოჯაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა წარმოებს.

როგორც გადმოგვცემენ, ინგლისის დელეგაციამ მხარი დაუჭირა იმას, რაც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა თქვა ლაოსისა და კამბოჯის შესახებ.

როგორც იუწყებიან, სსრ კავშირის წარმომადგენელმა, აღნიშნა რა ყველაზე სადავო საკითხის შესახებ საბჭოთა დელეგაციის მიერ შეტანილ წინადადებათა კონკრეტული ხასიათი, იმედი გამოთქვა, რომ სხვა დელეგაციები განიხილავენ ამ წინადადებებს. საბჭოთა დელეგაციის აზრით, აღნიშნული წინადადებანი საერთაშორისო და შერეული კომისიების საკითხის გადაწყვეტის საფუძველია. სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც გადამწყვეტი ხმის უფლება ექნება იმ შემთხვევაში, როცა ხმები თანასწორად გაიყოფა, საბჭოთა დელეგაციას მხედველობაში ჰყავდა ინდოეთის წარმომადგენელი. ეს ქვეყანა საერთაშორისო კომისიის შემადგენლობის შესახებ საბჭოთა დელეგაციის წინადადებაში პირველია დასახელებული და მის წინააღმდეგ არავინ წასულა.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა გააკრიტიკა ისინი, ვინც მოითხოვს, რომ შერეული კომისია დაემორჩილოს საერთაშორისო კომისიას. საკითხის ასეთი დაყენება, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო კომისიამ თავისი ნება ძალით უნდა მოახვიოს თავს, იმისათვის, რომ მხარეები, როცა ისინი არ დაეთანხმებიან საერთაშორისო კომისიის გადაწყვეტილებას, აიძულოს შეასრულონ საერთაშორისო კომისიის გადაწყვეტილებანი, ამ უკანასკნელმა ინდოჩინეთში უნდა შეიყვანოს უცხოეთის შეიარაღებული ძალები, ე. ი. მოახდინოს მისი ოკუპაცია. ასეთი მდგომარეობა არ შეესაბამება ჟენევის თათბირის წინაშე მდგომ ამოცანას — აღადგინოს მშვიდობა ინდოჩინეთში. ასეთი წინადადების დაჟინებით დაცვა იმას ნიშნავს, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, რომ არა სურთ აღადგინონ მშვიდობა ინდოჩინეთში. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია იმის წინააღმდეგია, რომ შერეული კომისია საერთაშორისო კომისიას დაემორჩილოს.

რაც შეეხება ლაოსისა და კამბოჯის საკითხს, საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ ზოგიერთი დელეგაციის განცხადება, თითქოს ამ ქვეყნებში არ წარმოებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, არ გამოხატავს საქმის ობიექტურ მდგომარეობას. ლაოსისა და კამბოჯის საკითხზე საბჭოთა დელეგაციამ, როგორც ცნობილია, უკვე ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი. იგი იმის წინააღმდეგი არ არის, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას ერთ-ერთ უახლოეს სხდომაზე, რადგან ესმის, რომ ამან არ უნდა შეუშალოს ხელი იმ საკითხებს განხილვას, რომლებზეც თათბირი ამჟამად მუშაობს.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პრაღაში

პრაღა, 14 ივნისი. (საქდესი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ი. დ. ნაზარენკოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. ე. ა. ფურცევასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის ამხ. ვ. პ. სტეპანოვის შემადგენლობით ინახულა ოლშანის სასაფლაო, სადაც გვირგვინით შეამკო ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი.

გვირგვინით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პოლიტსამდივნოს წევრები იარომირ დოლანსკი და ალექსი ჩეპიჩკა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ვაცლავ დავიდი და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბრატისლავ კრუტინა, აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ნ. პ. ფირიუბინი და სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები.

სასაფლაოზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჰიმნები.

ამავე დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი ვიტკოვის მთაზე პრაღაში.

## ინდონეზიის მთავრობის წევრთა განცხადება

ჯაკარტა, 14 ივნისი. (საქდესი). გაზეთები აქვეყნებენ ინდონეზიის პრემიერ-მინისტრის სასტროამიჯოიოს განცხადებას, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ინდონეზია დიდად დაინტერესებულია მშვიდობით და თავის მეზობლებთან კარგი ურთიერთობის დამყარებით. პრემიერ-მინისტრი აღნიშნავს, რომ ინდონეზია დიდ იმედს ამყარებს ჟენევის თათბირზე. „ამ თათბირს, — აღნიშნავს იგი, — უშუალო დამოკიდებულება აქვს ინდონეზიასთან, რადგან იქ წყდება აზიის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. ამიტომ ჩვენ გვსურს, რომ ჟენევის თათბირს რაც შეიძლება მეტი შედეგი მოჰყვეს“.

გაზეთი „ჰარიან რაქიათი“ აქვეყნებს ინდონეზიის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ვონგსონეგოროს განცხადებას. მან თქვა, რომ ინდონეზიას არა სურს დაემორჩილოს ამერიკის დიქტატს. ინდონეზიას სურს მეგობრული ურთიერთობა დემოკრატიულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რომელთან ურთიერთობაც ხელს შეუწყობს ინდონეზიის ეკონომიკის აღმავლობას.

ვონგსონეგორომ განაცხადა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ჯაკარტაში ჩამოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სავაჭრო დელეგაცია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

შემდეგ ვონგსონეგორომ თქვა, რომ ინდონეზიას სურს მშვიდობა და უშიშროება ხალხებისათვის. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნავს იგი, „აზია-აფრიკის ქვეყნების მომავალ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ კონფერენციაში აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა ისეთმა დიდმა ქვეყანამ, როგორიც არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა“.



კურორტი გაგრა. ზღვის ამ ულამაზეს კურორტზე უჩვეულო გამოცოცხლებაა. აქ ყოველდღიურად ჩამოდიან დამსვენებლები ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი კუთხიდან. სურათზე: დამსვენებელთა ერთი ჯგუფი ზღვის სანაპირო პარკში სეირნობის დროს.

ფოტო გ. კვირკველიასი.

## ხელოვნების ამბები

### ოპერისა და ბალეტის თეატრში

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის დ. გამრეკელის გასტროლები, მან უკვე იმღერა რამდენიმე ოპერაში.

16 ივნისიდან იწყება რსფსრ სახალხო არტისტის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ვ. დავიდოვას გასტროლები. წელს იგი გასტროლებს დაიწყებს ოპერა „კარმენით“.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. ამირანაშვილი სასტროლოდ მიწვეულია კიევში. იგი გამოვა ოპერებში „ბოგდან ხმელნიცკი“, „რიგოლეტო“ და „აიდა“.

საბჭოთა კავშირის ქალაქებში ხანგრძლივი საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ბ. კრაველიშვილი.

### მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

13 ივნისს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სპექტაკლით „ამხანაგი გიორგი“ დამთავრდა მიმდინარე სეზონი. თეატრის კოლექტივი 120 კაცის შემადგენლობით გაემგზავრა თელავში, სადაც სპექტაკლით „გიორგი სააკაძე“ დაიწყება მისი გასტროლები.

თეატრი ერთდროულად გამართავს სპექტაკლებს ყვარელში, ველისციხეში, ახმეტაში, სოფელ აკურაში. საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია 12 საუკეთესო დადგმა.

5 ივლისიდან თეატრი საგასტროლოდ წავა ბათუმში. თეატრი პარალელურად სპექტაკლებს უჩვენებს მახარაძის, ლანჩხუთის, ცხაკაიას, ქობულეთის მშრომელებს.

გასტროლების დროს საკონცერტო ბრიგადები მომსახურებას გაუწევენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს.

როგორც თეატრის დირექტორმა ივ. გვინჩიძემ განაცხადა, საგასტროლო მოგზაურობის დროს თეატრი მოამზადებს რამდენიმე ახალ სპექტაკლს მომავალი სეზონისათვის, რომელიც გაიხსნება ნ. ჰიქმეთის პიესით „ლეგენდა სიყვარულზე“. სეზონის პირველი ნახევრისათვის მომზადდება პიესები — მორეტოს „ცოცხალი პორტრეტი“, ლ. ლეონოვის „შემოსევა“, კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“. კაპიტალურად აღდგენილი იქნება „ურიელ აკოსტა“. დაიწყო წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა შექსპირის „ჰამლეტზე“.

### თბილისს ჩამოვიდნენ ინგლისელი მუსიკოსები

13 ივნისს თბილისს ჩამოვიდა ინგლისელ მუსიკოსთა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არის სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით. ჯგუფის შემადგენლობაში არიან რადიომაუწყებლობის კორპორაციის სატელევიზიო სამსახურის მუსიკალური დირექტორი კენეტ რაიტი, ჟურნალ „მუსიკა და მუსიკოსების“ რედაქტორი ივენ სინიორი, პიანისტი ლეონარდ კასინი, აგრეთვე სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მუსიკის სექციის მდივანი სილვია ჩიკიტსი.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილეები პ. კანდელაკი, ი. სხირტლაძე, ვ. ქიქოძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ქლენტი და ხელოვნების მოღვაწეები. (საქდესი).

რედაქტორის მოადგილე

რ. ქურციკიძე.


### დისერტაციების დაცვა

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

26/VI 54 წ. საღამოს 6 საათზე (№ 104 აუდიტორიაში) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე გამრეკელი** თემაზე: „Кредитная система Грузии накануне установления Советской власти и в период перехода на мирную работу по восстановлению народного хозяйства“.

26/VI 54 წ. დღის 3 საათზე (№ 104 აუდიტორიაში) **ვიქტორ სიმონის-ძე პავლიაშვილი** თემაზე: „შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება კოლმეურნეობებში (საქართველოს სსრ გორის რაიონის ოთხი კოლმეურნეობის მაგალითზე)“.

26/VI 54 წ. დღის 12 საათზე (№ 93 აუდიტორიაში) ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ვიტალი გიორგის-ძე ჩოჩიევი** თემაზე: „ირან-ოსმალეთის 1639 წლის საზავო ხელშეკრულება და საქართველო (ირან-ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის ისტორიიდან)“.

26/VI 54 წ. დღის 3 საათზე (№ 93 აუდიტორიაში) **მიხეილ გიორგის-ძე კალანდაძე** თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კადრების პრობლემის გადაწყვეტისათვის ბრძოლაში“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს შემდეგ კათედრებზე: 1. პოლიტიკური ეკონომიის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი, კათედრის დოცენტი ან უფროსი მასწავლებელი — 1, 5 საშტატო ერთეული. 2. მეძროხეობისა და ვეტსანექსპერტიზის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი, კათედრის დოცენტი—1, კათედრის ასისტენტი—1,5 საშტატო ერთეული. 3. ფარმაკოლოგიისა და პათოლოგიური ფიზიოლოგიის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი, დოქტორი, კათედრის დოცენტი — 2,5 საშტატო ერთეული. 4. მემცენარეობის და მიწათმოქმედების კათედრა — კათედრის ასისტენტი — 1. 5. ენების კათედრა — კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას შემდეგი საბუთები: განცხადება, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული დიპლომების ასლები საბუთებისა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ, სამეცნიერო ხარისხის, სამეცნიერო წოდების შესახებ, სამეცნიერო შრომების სია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან და ორი ფოტოსურათი.

კონკურსის ვადა 10 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 13, ტელეფონი № 3-67-83.

მეუღლე მარიამ, შვილები სუსანა, ნადია, ელეონორა, დარეჯან, მერი, რევაზ, ვაჟა ჩხაიძეები, რძალი ლეილა ჰელიძე, სიძე ვ. კვიმსაძე და შვილიშვილები იუწყებიან **ტარას ელიზბარის-ძე ჩხაიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-VI, 8 ს. გამოსვენება 19-VI, 5½ ს. საბურთალო, ბაქტერიოფაგის სახლი.

შვილები ნათელა, ვიოლეტა, დები თამარ, ვერა, ძმა გიორგი, დეიდა მარო, დეიდაშვილები თამარ, იულია, ლეო ფარეშაშვილები, ბიძაშვილი მარიკა ოჯახებით იუწყებიან **ნადეჟდა დიმიტრის ასულ დემიანოვა-ძიძიგურის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-VI, 8 ს. გამოსვენება 17-VI, 6 ს. რუსთაველის პრ. № 31.

მეუღლე მარიამ, შვილები კაკო, მიტო, ლუიზა, ძმა ელია, რძალი ბალე, ძმისწულები გურამ, ზაურ, დემურ საზანიშვილები იუწყებიან **ვასილ დიმიტრის-ძე საზანიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VI ყვარელში. გამოსვენება ბინიდან, სტალინის ქ. № 45.

მეუღლე ნადია, შვილი დიანოზ, რძლები ელენე, კლავდია, შვილიშვილები თამარ, აკაკი, ომარ, ნოე, ლალი იუწყებიან **გაბრიელ გიორგის-ძე ჭელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-VI, 8 ს. გამოსვენება 17-VI, 6 ს. პიონერის ქ. № 31.

### ოპერისა და ბალეტის თეატრი

16 ივნისს

ჟ. ბიზე— **კარმენი**

(ვ. დავიდოვას მონაწილეობით).

17 ივნისს

**დიდი კონცერტი**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მოქალაქე **სედრაკ ხორენის-ძე ჩახოიანმა**, მცხოვრებმა ახპატის ქ. № 31, აღძრა საქმე მაჩაბლის ქ. № 9 მცხოვრებ მოქალაქე **გოჰარიკ მისაკის ასულ ჩახოიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე მარიამ, შვილები ანა, მიხეილ, სონია, ეთერ, სიძეები ვ. განძიელი, ი. აკობია, ა. საყვარელიძე, რძალი ეკატერინე და შვილიშვილები იუწყებიან **გიორგი გიორგის-ძე ქორქაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VI ქ. გორში. გამოსვენება ბინიდან, ვოროშილოვის ქ. № 10.

მეუღლე ნატალია, შვილები სონია, აკაკი, რძალი რაისა, და მარო ბახტაძე ოჯახით, შვილიშვილები ციალა, ნოდარ გამგონეიშვილები, ნუნუ ანდრონიკაშვილი იუწყებიან **ონისიმე გაბრიელის-ძე გამგონეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VI ქ. ქუთაისში. გამოსვენება მიასნიკოვის შესახვევი № 15.

შვილები მარიამ, მართიკა, გოგია, რძალი მარო, დები მარო, ქეთო იაშვილი მეუღლით, სიძეები გ. ქლივიძე, ბ. ჯავახიშვილი, კ. ბაკურაძე და შვილიშვილები იუწყებიან **ბარბარე მერაბის ასულ საყვარელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-VI, 8 ს. გამოსვენება 17-VI, 6 ს. თეატრალური შესახვევი № 4.

თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება **ესტატე შულაიას** გარდაცვალებას.

ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ქალთა 23-ე საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან **ელენე რომანის ასულ ჯაფარიძე-არეშიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე იოსებ, შვილები ლენა, ზინა, შვილიშვილები მზია, ბიჭიკო ბურჭულაძეები, ნუნუ მანჯავიძე, სიძე რემი სისორდია იუწყებიან **ნურა ალექსის ასულ მექაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა თელავში.



რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებების: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტისა და პრესის მიმოხილვის—3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 04615

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.